F 111
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

5-6

მაისი — ივნისი

თბილისი — 1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ზ. ბურჭულაძე
კორექტორი ვ. აგლაძე

გადაეცა წარმოებას 7/V—59 წ., ანაწყობის
ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×84,
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,
სტამბის შეკვ. № 626, ტირაჟი 5000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ., № 19.

Типография Министерства просвещения Груз. ССР.
Тбилиси, ул. Ущ. Чхеидзе, № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1959 წლის 13 მარტი

ახალი, 1959—1960 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ

F9233

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 24 დეკემბერს მიღებული „კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის წარმატებით გადაწყვეტისათვის.

სკკ პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს. ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებების გატარება საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ საბჭოთა სკოლა სწავლებას უკავშირებდეს მწარმოებლურ შრომას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას და ამზადებდეს ყოველმხრივად განათლებულ და შეგნებულ მოქალაქეებს. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სკოლების ქსელი, გაიზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი, გაძლიერდება სკოლის მატერიალური ბაზა და სხვ.

საბჭოთა სკოლის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრის უზრუნველსაყოფად შვიდწლედის პირველ წელს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადება უნდა გაიშალოს დროულად, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით. სკოლები და საბავშვო დაწესებულებები ყოველმხრივად მომზადებული უნდა შეხვდნენ ახალ 1959—1960 სასწავლო წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სკოლა ყოველთვის იყო და არის სკკ პარტიის, საბჭოთა მთავრობის და მთელი საბჭოთა ხალხის ზრუნვის საგანი. ყოველწლიურად ბიუჯეტით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან სახსრებთან და სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ სამშენებლო მასალებთან ერთად, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოებების დიდძალი თანხები, სამშენებლო მასალები და შრომა იხარჯება.

1958—1959 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების მიზნით გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად დიდი მუშაობა ჩატარდა ახალი სასკოლო შენობების აგებისა, არსებულ შენობებზე ოთახების მიშენების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოების მოწყობის, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფისათვის და სხვ.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში თავი გამოიჩინეს და სასურველ შედეგებს მიაღწიეს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების, ქ. ქ. ქუთაისის, ფოთისა და გორის, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, სამტრედიის, ვანის, სიღნაღისა და სხვა რაიონების სკოლებმა.

ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის საქმეში დიდი დახმარება გაუწია სკოლებს ქობულეთის, ბათუმის, თელავის, ჩოხატაურის, ქუთაისის, ახალციხისა და სხვა რაიონების შეფორგანიზაციებმა.

ამასთან ერთად რიგმა რაიონებმა (ხაშურის, მცხეთის ორჯონიკიძისა და ზოგიერთი სხვა) ვერ შეასრულეს სასკოლო შენობების რემონტის გეგმა; აფხაზეთის ასსრ, ახალქალაქის, ადიგენის და გორის რაიონებმა ვერ შეასრულეს ინვენტარის დამზადების გეგმა. არ იყო დამზადებული და დროულად მიზიდული ადგილზე საჭირო რაოდენობით სათბობი სამხრეთ ოსეთის ა/ო, წალკის, საჩხერის, საგარეჯოს, ქარელისა და სხვა რაიონებში.

1958 წლის 1 სექტემბრისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ კონტინგენტს საქართველოს სს რესპუბლიკაში დააკლდა 18.530 ბავშვი, აქედან თიანეთს დააკლდა 290 ბავშვი, წითელწყაროს—452, თეთრიწყაროს—453, წალენჯიხას—320, ბოლნისს—403, ყაზბეგს—117 ბავშვი და ა. შ., რაც ადგილობრივი განათლების ორგანოებისა და სკოლების სუსტი მუშაობის შედეგია.

1959—1960 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფ კავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) ა/წ 1-ლ აპრილამდე შეადგინონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა; ამავე ვადაში შეადგინონ ინვენტარის (მერხების, მაგიდების, სკამების, საკლასო დაფების, კარადების და სხვ.) დამზადების, შეძენისა და რემონტის გეგმა; ეს გეგმები წარუდგინონ განსახილველად და დასამტკიცებლად რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და შეფი ორგანიზაციების აქტიური დახმარებით ა/წ 15 აგვისტომდე უზრუნველყონ ამ სამუშაოების შესრულება მაღალი მაჩვენებლებით;

ბ) ერთი დეკადის ვადაში დააზუსტონ კაბინეტ-ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, სასწავლო სახელოსნოების, ფიზკულტურის მოედნების, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების მდგომარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები მათი სრულ წესრიგში მოყვანისა და შევსებისათვის, ხოლო, სადაც ასეთები არ არის, ახლის მოწყობისათვის;

გ) მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე მასწავლებელთა კოლექტივებისა და მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით უზრუნველყონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ეზოების, აგრეთვე ფიზკულტურის მოედნების სრულ წესრიგში მოყვანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა;

დ) დადგენილ ვადებში მოამარაგონ სკოლები და საბავშვო დაწესებულებები ზამთრის გათბობის სეზონისათვის საჭირო სათბობი მასალით (შეშით, ნახშირით, მაზუთით);

ე) გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება იმისათვის, რომ სახელმძღვანელოებით მოვაჭრე ორგანიზაციების მიერ დროულად იქნეს შემოზიდული და ადგილზე მიტანილი რაიონის (ქალაქის) სკოლებისათვის გამოყოფილი სახელმძღვანელოები, რვეულები,

თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები და სხვა სასწავლო ნივთები; ეგრეთვე ყოველგვარი დახმარება გაუწიონ წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეში;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ კლასებს, რომლებიც 1959/60 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან უნდა იქნენ გადაყვანილი ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე; აგრეთვე იმ მეცხრე კლასებს, რომლებიც ა/წ 1 სექტემბრიდან უნდა იქნენ გადაყვანილი საწარმოო სწავლებაზე ყოველმხრივ მოამზადონ ისინი ამ მუშაობისათვის;

ზ) გულდასმით აღრიცხონ 1 კლასში მისაღები შვიდწლიანი ბავშვები და სკოლიდან გასული ან სკოლის გარეთ დარჩენილი უფროსი ასაკის მოზარდები და 1 სექტემბრისათვის უზრუნველჰყონ მათი ჩაბმა სწავლებაში;

თ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სკოლის ქსელის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და კლასის დატვირთვის ნორმების შესრულება;

ი) დროულად ჩაატარონ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა და უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებული სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების გახსნა, მათი მომარაგება ბინით და ინვენტარ-მოწყობილობით, აგრეთვე მოსწავლეთა კონტინგენტის შესრულება;

ი) სკოლის დირექტორების (გამგეების) და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების მონაწილეობით გულდასმით გადასინჯონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების პედაგოგიური კადრების შემადგენლობა და მასში ცვლილებების შეტანისა და ახალი კადრებით უზრუნველყოფის შესახებ მასალები წარუდგინონ შესაბამის განათლების განყოფილებებსა და სამინისტროებს დაწესებულ ვადებში;

ლ) უზრუნველყონ საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევა მასწავლებელთა კონსულტაციის მოწყობით, სამეცადინო ოთახების გამოყოფით, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების მიცემით;

მ) მიიღონ საჭირო ზომები სოფლის სკოლებში ჩამოსულ მასწავლებელთათვის შესაფერისი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად; ახალგაზრდა დამწყებ მასწავლებლებს მოუწყონ გულთბილი შეხვედრა, გააცნონ მათ სამუშაოები და გაუწიონ საჭირო დახმარება მუშაობაში;

ნ) მტკიცედ დანერგონ ცხოვრებაში რიაზანის ოლქის სოფელ ერმიშის და მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლების მუშაობის გამოცდილება.

2. დაევალოს სკოლების სამმართველოს (უფროსი ამხ. გ. საყვარელიძე) სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების მზადების მიმდინარეობას.

3. დაევალოს საბავშო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) გაუწიოს სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღებისა და სპეცსკოლების მზადებას ახალი სასწავლო წლისათვის.

4. დაევალოს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებას (უფროსი ამხ. დ. ჯავახია) დადგენილ ვადებში მოამზადოს გამოსაცემად ყველა სახელმძღვანელო და გადასცეს გამომცემლობას, ამასთან დააწესოს ყოველდღიური კონტროლი სახელმძღვანელოებისა და პროგრამების ბეჭდვაზე.

5. დაევალოს სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (უფროსი ამხ. ა. ღადუა) პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო განყოფილებასთან ერთად (გამგე ამხ. გ. ლომჯარია):

ა) გააძლიეროს კონტროლი სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობაზე. მიიღოს გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ მშენებლობის გეგმები სრულდებოდეს მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლებით; დროზე გამოავლინოს გეგმების შესრულების საქმეში ჩამორჩენილობისა და დაბალი ხარისხით შესრულების შემთხვევები და მოახსენოს კოლეგიასა და პრეზიდიუმს საჭირო ზომების მისაღებად;

ბ) სისტემატურად შეამოწმოს რაიონებსა და ქალაქებში შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის მიმდინარეობა და მიიღოს გადამჭრელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. დაევალოს სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. ს. არველაძე):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის და მისი ფილიალების მუშაობას, გეგმის მიხედვით ბიუჯეტებით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში კაბინეტ-ლაბორატორიების შევსებას;

ბ) სისტემატური კონტროლი გაუწიოს იმას, რომ სათანადო საწარმოები ვადაზე ადრე და კარგი ხარისხის ინვენტარს ამზადებ-დნენ, ხოლო განათლების განყოფილებები დროულად აწდენდნენ მათ დაფინანსებას და დამზადებული ინვენტარის მიზიდვას ადგილზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სახელმძღვანელოების, სათანადო დახაზულობის რვეულების, კალმისტრების, კალმების, ფანქრების, მელნის, ცარცის და სხვა სასწავლო ნივთების შემოზიდვას.

7. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (დირექტორი ამხ. გ. ასპინძელაშვილი) უზრუნველყოს მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკთა გადამზადება თანახმად სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმისა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინტიტუტის დირექტორს (ამხ. დ. ლორთქიფანიძე) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში შეადგინოს ახალი სასწავლო გეგმისა და პროგრამების პროექტები და წარუდგინოს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

სასწავლო წლის დაწყებამდე მოამზადოს და გამოსცეს მეთოდური წერილების სერია და დამხმარე ლიტერატურა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის და IX კლასებში საწარმოო სწავლების შემოღების შესახებ.

9. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს 1959 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სკოლების ქსელის, კლასების რაოდენობის, მოსწავლეთა კონტინგენტის და კლასების დატვირთვის ნორმების დამტკიცებული გეგმის შესრულების საქმეში;

ბ) მიიღოს საჭირო ზომები ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად გათვალისწინებული ღონისძიებების ნორმალური დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

10. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სა-

ბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს 5 ივლისსა და 5 აგვისტოს, ხოლო შეჯამებული მასალები და მშრომელთა დეპუტატების რაიონის (ქალაქის) საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის მიერ შედგენილი აქტები ა/წ 15 სექტემბრამდე.

11. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას (რედაქტორი ამხ. გ. საჯაია) სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი	განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კო- მიტეტის თავმჯდომარე
გ. ნ. ჯიბლაძე	**ლ. ი. მაღლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 230

1959 წლის 13 მარტი

„ბუნების დაცვის კვირეულის“ ჩატარებაში სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ა/წ 10 მარტიდან 1-ლ მაისამდე რესპუბლიკაში ტარდება „ბუნების დაცვის კვირეული“. კვირეულის ჩატარების დრო ზემოაღნიშნული პერიოდის ფარგლებში დადგინდება საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ადგილობრივი საბჭოების მიერ რაიონის, ქალაქის ბუნებრივი პირობების შესაბამისად.

მიმაჩნია რა აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება ყველა სკოლისა და სხვა საბავშვო დაწესებულების ღვიძლ საქმედ,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ ბუნების დაცვის საქმეში რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ განათლების სამინისტროს 1958 წლის 2 დეკემბრის ბრძანებით (№ 1504) და უზრუნველყონ ქ. თბილისის სამგორის რაიონის მარტყოფის, ლენტეხისა და გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლების ინიციატივაზე აქტიური გამოხმაურება;

ბ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ შესაბამის საბჭოებს „ბუნების დაცვის კვირეულის“ ჩატარებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოიწვიონ სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების დირექტორთა თათბირი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი „ბუნების დაცვის კვირეულის“ ჩატარებაში მათი წარმატებითი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

2. სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების დირექტორებმა:

ა) შეადგინონ ნარგავთა გაშენების კალენდარული გეგმა. გეგმის შედგენისას გაითვალისწინონ სკოლის ეზოების, სკოლისაკენ მისასვლელ გზებსა და სხვა ადგილებში რაიონისათვის (ქალაქისათვის) შერჩეული ხეხილისა და ტყის მერქნიანი ჯიშების გაშენება, ბუჩქების დარგვა და სხვ;

ბ) ნარგავების მოვლა-პატრონობის საქმეში ჩააბან სკოლის მუშაკები და უფროსი კლასების მოსწავლეები:

გ) მათივე აქტიური მონაწილეობით უზრუნველყონ ხე-მცენარეებზე სასარგებლო ფრინველების ბუდეების მოწყობა;

დ) უზრუნველყონ მოსწავლეებთან ლექცია-საუბრების ჩატარება ტყისა და მწვანე ნარგავების, გარეულ სასარგებლო ფრინველთა და ცხოველთა ნიადაგ-დაცვის მნიშვნელობაზე.

3. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა განახორციელონ სათანადო კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 238

1959 წლის 16 მარტი

რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე ხელმძღვანელობის შესახებ ზემდგომი ორგანოების მიერ ახლახან მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული სსრ კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, ჯანმრთელობის განმტკიცების, მშრომელთა მაღალნაყოფიერი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალების შემდგომი განვითარების აუცილებლობა. ამ დადგენილებით სსრ კავშირის სპორტულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს მოსწავლეთა შორის მასობრივ-თვითშემოქმედებით ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში, შეჯიბრებათა და სპორტულ სექციებში მეცადინეობათა ჩატარებაში: უფასოდ დაუთმონ სკოლებს სტადიონები, სპორტული დარბაზები, მოედნები, წყალჯომარდობისა და სათხილამურო სადგურები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) მოსწავლეთა შორის სასწავლო, სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გაზარდონ მომთხოვნელობა ფიზიკური კულტურის მასწავლებლებისადმი; მათზე სათანადო მეთოდური დახმარების გაწევით უზრუნველყონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილების სწორი დაგეგმვა, დიდაქტიკური პრინციპების მოხერხებულად გამოყენება, მეცადინეობათა სწორი

ორგანიზაცია და ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ხარისხის მკვეთრი ამაღლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უახლოეს დროში მიაღწიონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე ყველა მოსწავლის სასპორტო ფორმაში გამოცხადებას; ახალი 1959—1960 სასწავლო წლიდან ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე არ დაუშვან მოსწავლეები სასპორტო ფორმის გარეშე;

გ) ა/წ 10 მაისამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლის სპორტული ბაზები: სასპორტო დარბაზი (სამეცადინო ოთახი), მოედანი მძლეოსნური სექტორებით; სკოლის სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებში მოსწავლეთა ძალებით დაამზადონ საჭირო სპორტული ინვენტარი (სატანვარჯიშო სკამები, კედელი, კიბე, ჯოხები, დვირი, ლატანი ცოცვისათვის, ღერძი, ორძელი, ხარიხა, სახტომი დგარი, ბოგი, კალათბურთის ფარები და სხვ);

დ) სასკოლო სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების კალენდრის მიხედვით რეგულარულად ჩაატარონ მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიებები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ტურისტული ლაშქრობები, სამატჩო შეხვედრები და სხვ;

ე) კლასგარეშე სპორტული მუშაობისათვის დაწესებული გასამრჯელო გასცენ მხოლოდ ისეთ მასწავლებლებზე, რომლებიც ასრულებენ სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აქვთ სექციური მუშაობის ცხრილი და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, სისტემატურად ატარებენ მეცადინეობამდე ტანვარჯიშს და გეგმაზომიერად ამზადებენ ნიშნოსნებსა და სპორტსმენ თანრიგოსნებს;

ვ) სკოლის ექიმთან ერთად შეისწავლონ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების მდგომარეობა და ფიზიკური აღზრდის დარგში წარმოებული მთელი მუშაობა შეუფარდონ ამ მონაცემებს;

ზ) სათანადო ყურადღება მიაქციონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ჩასატარებელი ადგილის სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მიერ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა დაცვას.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დაავალონ სასკოლო ინსპექტორებს, ბავშვთა სპორტული სკოლის დარექტორებსა და პედაგოგიური კაბინეტების მეთოდისტებს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისას

გულდასმით შეისწავლონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობა და შედეგები რეგულარულად მოისმინონ როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოების, ისე კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე;

ბ) ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს სასპორტო ბაზების მოწყობისა და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა შეჯიბრებების ორგანიზებულად ჩატარებას, გუნდების გამგზავრებას და სხვ;

გ) ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მოვაჯიშეთა სამედიცინო კონტროლის ჯეროვნად დაყენების მიზნით სკოლებთან მოაწყონ საექიმო კაბინეტები იმ ანგარიშით, რომ 1959 წლის დამლევისათვის თითოეულ საშუალო სკოლას ექნეს მოწყობილობის საჭირო მინიმუმი;

დ) მოსთხოვონ ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და სპორტულ საზოგადოებებს პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად გამოჰყონ სკოლებისათვის სპორტული ბაზები უფასოდ, განიხილონ და დაამტკიცონ ბაზებში სკოლების, სასპორტო სკოლებისა და ნაკრები გუნდების მუშაობის ცხრილი;

ე) აღკვეთონ სასპორტო სკოლებში მრავალპროფილიანობა და ახალი სასწავლო წლიდან სასპორტო ჯგუფების რაოდენობა დაგეგმონ ისე, რომ თითოეულ სასპორტო სკოლაში სპორტის ცალკეულ სახეში მუშაობდეს არანაკლებ 4—5 ჯგუფისა;

ვ) რაიონის, ქალაქის, სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდრის შესაბამისად ჩაატარონ სპორტული ღონისძიებები, გამოავლინონ ნიჭიერი სპორტსმენები, დროულად დააკომპლექტონ ნაკრები გუნდები და უზრუნველყონ ამ გუნდების სათანადოდ მომზადება მომავალ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია) 1960 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს ფიზიკურ კულტურაში ერთი სახელმძღვანელოსა და ორი მეთოდური ბროშურის გამოცემა.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) და ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე) სისტემატური კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 13 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 239

1959 წლის 16 მარტი

ბორის აქვსენტის ძე ასათიანის სიმწიფის ატესტატის გაუქმების შესახებ

ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. ჯალაღონიამ, ცხაკაიას რკინიგზის 26-ე საშუალო სკოლიდან გაცემული ცნობის საფუძველზე, 1958 წ. 10 მარტს მე-10 კლასში ჩარიცხა მოქ. ბორის აქვსენტის ძე ასათიანი, რაიონის განათლების განყოფილების ნებართვის გარეშე, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ.

შემოწმებით დადასტურებულია, რომ ბ. ასათიანს 10 მარტიდან სასწავლო წლის ბოლომდე გაცდენილი აქვს 25 სამეცადინო დღე. სკოლაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე მას არც ერთ საგანში არც ერთხელ არ შეუსრულებია საკონტროლო წერა. ასათიანს წლიური „2“ გამოყვა ქართულ ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), გეომეტრიაში, ქიმიასა და უცხო ენაში.

პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ბ. ასათიანი დატოვებულ იქნა მეათე კლასში.

მიუხედავად ამისა, სკოლის დირექტორმა ბ. ასათიანი უკანონოდ დაუშვა საშემოდგომო გამოცდებზე. მასწავლებლების გ. რობაქიძის, გ. ცხვარიაშვილისა და საგამოცდო კომისიის სხვა წევრების მიერ გამოცდების მსვლელობაზე კონტროლის დაუწესებლობის შედეგად ბ. ასათიანმა მოახერხა დამაკმაყოფილებელი შეფასებისა და ბოლოს სიმწიფის ატესტატის მიღება. არასაგამოცდო საგანში ტრიგონომეტრიაში ასათიანს დაეწერა ფაქტიური ნიშანი

„3“. აღსანიშნავია. რომ მეტად დაბალი წიგნიერების გამო ბ. ასათიანმა თავი აარიდა თავისი ხელით ახსნა-განმარტების დაწერას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს ბორის აქვსენტის ძე ასათიანის სახელზე ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მიერ განათლების სამინისტროს საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევით გაცემული სიმწიფის ატესტატი № 151976. ცხაკაიას განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ი. კერძაიამ დაუყოვნებლივ ჩამოართვას ბ. ასათიანს აღნიშნული ატესტატი და წარუდგინოს განათლების სამინისტროს.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორი ლ. ჯალაღონია სხვადასხვა დარღვევების გამო განთავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ გ. რობაქიძეს და საგამოცდო კომისიის წევრებს ე. ა. ცქვიტაძეს და გ. ვ. ფალავას საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევისათვის ადგილობრივი ორგანოს მიერ დადებული აქვთ სათანადო სასჯელი.

3. განათლების განყოფილების გამგემ ე. კერძაიამ საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევისათვის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გ. ცხვარიაშვილს დაადოს სათანადო სასჯელი.

4. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში საშემოდგომო გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლის გამო განათლების განყოფილების გამგეს ე. კერძაიას მიეთითოს.

5. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, აგრეთვე განხილულ იქნას კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 13 მარტის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 254

1959 წლის 19 მარტი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ლონისძიებათა 1958 წლის შედეგებისა და 1959 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

F 225

გავეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ 1958 წელში მოწყობილ დახელოვნების კურსების მუშაობის შედეგებს აღვნიშნავ, რომ დახელოვნების კურსების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი განათლების მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას და მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ახლებურად გარდაქმნას.

1958 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში გაიხსნა დახელოვნების კურსების 160 ჯგუფი 4.801 მსმენელით (უშუალოდ ინსტიტუტის ხაზით—110 ჯგუფი 3281 მსმენელით, ქუთაისის ფილიალის ხაზით—41 ჯგუფი 1256 მსმენელით, სოხუმის ფილიალის ხაზით—9 ჯგუფი 264 მსმენელით), მათ შორის: მუშაობიდან მოწყვეტით—41 ჯგუფი 1329 მსმენელით, მუშაობიდან მოუწყვეტლად—15 ჯგუფი 420 მსმენელით, ზაფხულის პერიოდში კი—104 ჯგუფი 3052 მსმენელით.

კურსები დაამთავრა 4627 მსმენელმა, ვერ დაამთავრა 174 მსმენელმა (აკადემიური ჩამორჩენილობით—52, ავადმყოფობით—35, ოჯახური პირობების გამო—14, სხვადასხვა მიზეზით—73).

გასულ წელს მოეწყო ყველა სასწავლო დისციპლინის მასწავლებლების, აგრეთვე სასკოლო ინსპექტორების, სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშო სახლების აღმზრდელების, საბავშვო ბაღების გამგეების.

კინოდემონსტრატორების, ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტების, სასკოლო ბიბლიოთეკარებისა და ბუხჰალტრების დახელოვნების კურსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსების უკეთ ორგანიზაციისა და მათი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლის წინაშე დაყენებული ახალი ამოცანების შესაბამისად გადამუშავდა კურსების სასწავლო გეგმები, პროგრამები, საჭირო ინსტრუქციები და მითითებანი. შეძენილ იქნა სასწავლო ხელსაწყო-იარაღები, მასალები და ინვენტარი; მიღებულ იქნა ზომები კვალიფიციური ლექტორებით კურსების უზრუნველყოფისათვის; დროულად ეცნობა განათლების ადგილობრივ ორგანოებს კურსების მუშაობის სახეები, მუშაობის დრო, ადგილი და კონტინგენტი.

დახმარება გაეწია პოლიტექნიკური ციკლის დისციპლინების მასწავლებლებს და უზრუნველყოფილ იქნა 1086 მასწავლებლის მომზადება-გადამზადება. მათ შორის: ფიზიკა-ელექტროტექნიკის პრაკტიკუმის მასწავლებელთა—162, ქიმიისა—87, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმისა—103, მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმისა—78, სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმისა—60, შრომისა (საზეინკლო და სადურგლო საქმის)—85, ხატვა-ხაზვისა—26, მათემატიკისა—375 და ხელგარჯილობისა კი—110.

ინსტიტუტმა გადაამზადა არაქართული სკოლების—952 მასწავლებელი, მათ შორის: რუსული სკოლების—704, სომხურის—128, აზერბაიჯანულის—59, ოსურის—36 და აფხაზურის—27 მასწავლებელი.

ქალაქების ქუთაისის და ჭიათურის, აგრეთვე წულუკიძის, ცაგერის, ახალქალაქის, აბაშის, კასპის, საჩხერის, თერჯოლის, ასპინძის, ონის, გეგეჭკორის, საგარეჯოს და ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. უზრუნველყვეს კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა სწორად შერჩევა, მიცემული კონტინგენტის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა შემდეგ ნაკლოვანებებს:

ქალაქების ფოთისა და გორის, აგრეთვე წალკის, დმანისის, ყაზბეგის, მესტიის, გარდაბნის, ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, ხობის, ახმეტის და ბოლნისის რაიონების განათლების განყოფილებები საჭირო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ განათლების მუშაკთა

კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს და ვერ შესძლეს გადამზადების კონტინგენტის გეგმის შესრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალმა ვერ შესძლო შეესრულებინა აფხაზური სკოლის დაწყებითი კლასის 30 მასწავლებლის გადამზადების გეგმაც კი, ხოლო აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები სრულიად არ მოუწყვია, რადგანაც კურსებზე გადასამზადებლად გაითვალისწინა აფხაზური ენის მხოლოდ ხუთი მასწავლებლის გადამზადება.

გასულ წელს ადგილი ჰქონდა დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა არასწორად შერჩევასა და დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მასწავლებელი მოუმზადებლად (სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის, საჭირო დოკუმენტების, ქვეშსაგებისა და პირადი მოხმარების საგნების გარეშე) გამოცხადდა კურსებზე: მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა თავი აარიდა კურსებზე წასვლას, ხოლო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა მათ წინააღმდეგ არ მიიღეს მკაცრი ზომები.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1958 წლის საკურსო ღონისძიებაში საკმაო ადგილი არ ჰქონდა დათმობილი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას.

დახელოვნების ზოგიერთი კურსების მსმენელები უზრუნველყოფილნი არ იყვნენ შესაფერისი სამეცადინო ოთახებით და საცხოვრებელი ბინებით, საჭირო სამეურნეო და სასწავლო ინვენტარით, ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით. ზოგ კურსებზე სათანადოდ არ იყო მოგვარებული კვებისა და კულტმასიური მუშაობის საკითხები.

საზაფხულო კურსების მუშაობისათვის განკუთვნილი ზოგი სკოლა კიდევ არ იყო უზრუნველყოფილი კაბინეტ-ლაბორატორიებით, დიდაქტიკური მასალებითა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილნი კურსების მსმენელებისათვის საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით (განსაკუთრებით ლეიბებით), რაც იწვევს კურსების მსმენელთა სამართლიან უკმაყოფილებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (დირექტორი

ამხ. გ. ასპინძელაშვილი) მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობა გარდაქმნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, რისთვისაც:

ა) 1959 წელში დახელოვნების კურსების საშუალებით გადაამზადოს 4.000 მასწავლებელი და განათლების სხვა მუშაკი თანდართული განრიგის მიხედვით (დანართი № 1, № 2, № 3, № 4,);

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა ინტერნატების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და პოლიტექნიკური ციკლის სასწავლო დისციპლინების მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობას; გაითვალისწინოს მათი მუშაობის თავისებურებანი და უზრუნველჰყოს აღნიშნული კურსების ნაყოფიერი მუშაობა.

გ) სკოლის წინაშე დაყენებული ახალი ამოცანების შესაბამისად გადაამუშაოს მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები, სადაც საჭირო ადგილი დაუთმოს სწავლების ცხოვრებასთან და საწარმოო შრომასთან ორგანულად დაკავშირების საკითხებს; მიიღოს ზომები პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, განათლების მუშაკთა პედაგოგიკურ-მეთოდიკური და თეორიული დონის ამაღლებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძვლიანი გაცნობისათვის;

დ) უზრუნველყოს კურსების დაკომპლექტება კვალიფიციური ლექტორებით, კურსების ლექტორ-მასწავლებლებად გამოიყენოს გამოცდილი პრაკტიკოსი მასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლების ის მუშაკები,რომელთაც აქვთ სასკოლო მუშაობის სათანადო გამოცდილება; კურსებზე ლექტორ-მასწავლებლებად გამოსაყენებელ მუშაკებთან ჩაატაროს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, კურსების მუშაობის პროცესში მტკიცე კონტროლი დააწესოს მათ საქმიანობაზე და მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით გაუწიოს საჭირო დახმარება;

ე) მიიღოს საჭირო ზომები ინსტიტუტისა და მისი ფილიალების, სასწავლო-მატერიალური ბაზების შემდგომი განმტკიცებისა (ხელსაწყო-იარაღებით, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით, ინვენტარითა და მასალებით), შესაფერისი სამეცადინო და საცხოვ-

რებელი ბინებით კურსების მსმენელთა უზრუნველყოფისა, კომუნა-
ლური, კულტურულ-მასობრივი მომსახურებისა და მასწავლებელთა
კვების უკეთ ორგანიზაციისათვის;

ვ) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ამ ბრძანებით დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გეგმის განუხრელად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის; დროულად აცნობოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის გეგმა, კურსების მუშაობის სახეები, დრო და ადგილი;

ზ) ქმედითი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ქუთაისის და სოხუმის ფილიალებს საკურსო ღონისძიებათა გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, რისთვისაც დროზე აღრიცხონ და შეისწავლონ კურსებზე გასაგზავნი კონტინგენტი; უზრუნველჰყონ მათი სწორად შერჩევა, დროულად გაფრთხილება და მომზადება კურსებზე წასვლისა და მუშაობისათვის;

ბ) არ დაუშვან ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მიერ მიცემული კურსების კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობა. მტკიცე კონტროლი დააწესონ კურსებზე მივლინებული მსმენელების დროულად გამოცხადებაზე, რისთვისაც მეცადინეობის დაწყების სამი დღის შემდეგ შეამოწმონ მათი გამოცხადება კურსებზე, სათანადო სასჯელი დაადონ დაგვიანებით გამოცხადებულ მსმენელებს, ხოლო განათლების სამინისტროს წინაშე დააყენონ საკითხი იმ მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც სრულიად არ გამოცხადდებიან კურსებზე;

გ) საჭირო პირობები შეუქმნან ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მიერ მოწყობილ ზაფხულის კურსებს საცხოვრებელი ბინებით, სამეცადინო ოთახებით, კაბინეტ-ლაბორატორიებითა და ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფისათვის. კურსებისათვის გამოყონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფი ყველაზე საუკეთესო სკოლები და უზრუნველყონ კურსებისათვის მათი მომზადება.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ, პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებმა და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს და მის ფილია-

ლებს საკურსო მუშაობაში კვალიფიციურ ლექტორ-მასწავლებელთა კადრების ჩაბმის საქმეში.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძემ) ბიუჯეტის ფარგლებში მოამარაგოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები როგორც მაგარი ისე რბილი ინვენტარით. პირველ რიგში უზრუნველყოს იმ სკოლების მომარაგება, რომლებშიაც ზაფხულის პერიოდში მუშაობა მოუხდებათ დახელოვნების კურსებს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) დროულად გამოჰყოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გატარებისათვის საჭირო თანხები. ამასთან უზრუნველჰყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დაფინანსება სამინისტროს 1958 წლის 23 ივნისის №585 ბრძანების შესაბამისად.

6. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა გამოაქვეყნონ მასალები მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

7. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს განათლების განყოფილებებთან არსებულ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (უფროსი ამხ. ი. კვაჭაძე) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 13 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ნ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის

გეგმა

1959 წ. (მუშაობიდან მოუწყვეტლივ)

№№ რ.	კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობ. დრო	ადგილი
1	ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	III—VI	ქ. თბილისი
	—„— —„—	1	30	I—III	ქ. ქუთაისი
2	არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	III—VI	ქ. თბილისი
3	რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	III—VI	—„—
4	მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . .	1	30	III—VI	—„—
5	სსრ კავშირის კონსტიტუციისა და უახლესი ისტორიის მასწავლებელთა	1	30	II—III	—„—
	—„— (რუს. ჯგ.)	1	30	II—III	—„—
6	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . .	1	30	I—III	ქ. ქუთაისი
	—„— —„—	1	30	III—V	ქ. თბილისი
7	რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . .	1	30	II—V	ქ. ბათუმი
	—„— —„—	1	30	III—V	ქ. თბილისი
8	დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	III—IV	ქ. სოხუმი
9	საბავშვო ბაღის აღმზრდელთა .	1	30	III—V	ქ. ბათუმი
	—„— —„—	1	30	IX—XII	ქ. თბილისი
10	თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატის აღმზრდელების	1	15	IX—X	თეთრიწყარო
11	განთიადის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელების	1	15	XI—XII	განთიადი
	სულ	16	450		

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის

ზ ე ბ ზ ა

1959 წ. (მუშაობიდან მოწყვეტით)

№№	კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მოწყობის დრო	ადგილი
1	2	3	4	5	6
1	მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების . . .	1	30	I	თბილისი
2	სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების . . .	1	30	I	—„—
3	კინოდემონსტრატორების . . .	1	30	I	—„—
	—„— —„—	1	30	XII	—„—
4	შრომის მასწავლებელთა . . .	1	30	II—III	—„—
	—„— —„—	2	60	IV—X	ქ. ქუთაისი
5	მეოჯახეობის მასწავლებელთა .	2	60	II—III	ქ. თბილისი
	—„— (რუს. ჯგ.)	1	30	III	—„—
6	დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	2	60	II	ქ. ქუთაისი
	—„— —„—	1	30	III	ქ. თბილისი
7	ფიზიკისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	III—IV	—„—
8	ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	III—IV	—„—
9	სასკოლო ინსპექტორების . .	1	25	IV	—„—
10	ქიმიის მასწავლებელთა . . .	1	30	IV	ქ. ქუთაისი
11	აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . .	1	30	IV	ქ. სოხუმი
12	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	IV—V	ქ. თბილისი
13	სასკოლო ბიბლიოთეკარების .	2	60	V—IX	—„—
14	სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა .	1	30	V	—„—

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6
15	სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა .	1	30	V	—„—
16	ქიმიისა და ფიზიკის ლაბორანტების	1	30	V	—„—
	—„— —„—	1	30	V	ქუთაისი
17	სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელების	1	15	V	ქ. თბილისი
18	სკოლა-ინტერნატების დირექტორების	1	15	IX	ქ. თბილისი
19	მუშა ახალგაზრდობის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა	1	30	IX—X	—„—
20	მუშა ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	X	—„—
21	შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების	2	60	X	—„—
	—„— (რუს. ჯგ.)	1	3	X	—„—
22	საბავშვო სახლების დირექტორების	1	30	X	—„—
23	საბავშვო ბაღის აღმზრდელების	1	30	X	ქ. ქუთაისი
	—„— —„—	1	30	XII	ქ. თბილისი
24	საბავშვო ბაღის გამგეების . . .	1	30	XI	—„—
25	სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	XI	—„—
26	შვიდწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეების	3	90	XI—XII	—„—
	—„— (რუს. ჯგ.)	1	30	XII	—„—
	სულ	41	1195		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის

გ ე გ მ ა

1959 წ. ივნისი

№№ რ	კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის ადგილი
1	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60	თელავი
	—„— —„—	2	60	ბორჯომი
	—„— —„—	4	120	ქ. ქუთაისი
	—„— —„—	1	30	ქ. სოხუმი
2	რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60	ქ. თბილისი
	—„— —„—	1	30	ქ. სოხუმი
3	არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა .	1	30	ქ. თბილისი
	—„— —„—	2	60	ქ. ქუთაისი
4	სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	ახალქალაქი
	—„— —„—	1	30	ქ. სოხუმი
5	აზერბაიჯანული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	მარნეული
6	ოსური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	ქ. სტალინირი
7	აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	ქ. სოხუმი
8	ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	ბორჯომი
	—„— —„—	1	30	თელავი
	—„— —„—	1	30	ქ. ქუთაისი
	—„— —„—	1	30	ქ. სოხუმი
9	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	ქ. თბილისი
10	ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა .	1	30	—„—
	—„— —„— (რუს. ჯგ.)	1	30	—„—
	—„— —„— (ქართ. ჯგ.)	2	60	ქ. ქუთაისი
11	სამხედრო მომზადების მასწავლებელთა	1	30	ქ. თბილისი
12	ხატვა—ხაზვის მასწავლებელთა . . .	1	30	
13	V—VI კლასების მუსიკის მასწავლებელთა	1	30	ქ. სტალინირი ქ. თბილისი
14	შრომის მასწავლებელთა	1	30	—„—
	სულ—	33	990	

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 4

საქართველოს სსრ შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის

გეგმა

1959 წ. ივლისი

№№ რ.	კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის ადგილი
1	ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	3	90	ბორჯომი
	—„— —„—	3	90	წყალტუბო
2	რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	3	90	ქ. სოხუმი
3	არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	4	120	გუდაუთა
	—„— —„—	2	60	წყალტუბო
4	აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	ქ. სოხუმი
5	გერმანული ენის მასწავლებელთა	1	30	ქ. თბილისი
	—„— —„— (რუს. ჯგ.)	1	30	—„—
6	ინგლისური ენის მასწავლებელთა	1	30	—„—
7	ისტორიის მასწავლებელთა	2	60	სურამი
	—„— —„— (რუს. ჯგ.)	1	30	—„—
	—„— —„— (ქართ. ჯგ.)	2	60	ქუთაისი
8	გეოგრაფიის მასწავლებელთა	2	60	ბორჯომი
	—„— —„—	2	60	ქ. ქუთაისი
9	მათემატიკის მასწავლებელთა	3	90	თელავი
	—„— —„— (რუს. ჯგ.)	1	30	—„—
	—„— —„— (ქართ. ჯგ.)	3	90	ქ. ქუთაისი
	—„— —„— (რუს. ჯგ.)	1	30	ქ. სოხუმი
10	ფიზიკისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	ქ. თბილისი
	—„— —„— (რუს. ჯგ.)	1	30	—„—
	—„— —„— (ქართ. ჯგ.)	2	60	ქ. ქუთაისი
11	ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	2	60	ბათუმი
	—„— —„—(რუს. ჯგ.)	1	30	—„—
	—„— —„—(ქართ. ჯგ.)	1	30	ქ. ქუთაისი
12	ქიმიის მასწავლებელთა	1	30	ქ. თბილისი
	—„— —„— (რუს. ჯგ.)	1	30	—„—
	სულ	46	1380	

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 255

1959 წლის 19 მარტი

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მე-17 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ სტალინის სახელობის რაიონის მე-17 საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. რ. ფანცულაია) სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინა, ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მოსწავლეებისადმი ერთიანი, მაღალი პედაგოგიური მომთხოვნელობა სწავლებისა, შრომისა და აღზრდის საქმეში. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არც ერთხელ არ არის განხილული საკითხი მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. პედსაბჭოზე არ არის განხილული აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1956 წლის 2 მარტის ბრძანება № 195 სკოლებში დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ადგილი აქვს მოსწავლეების მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

IX კლასის მოსწავლე გ. ს. ანთიძე მილიციის ბავშვთა ოთახის მუშაკების მიერ დაკავებული იქნა ზარის თამაშის დროს.

ამ სკოლის მოსწავლეები: ძმები ი. გ. და გ. გ. ჩუბინიძეები, ა. ს. მანაგაძე, თ. თ. ქორიძე, მ. ე. ჯაფარიძე მოსწავლეებს ართმევდნენ სასწავლო ნივთებს, ფულს და უხეშად ეპყრობოდნენ მოსწავლე გოგონებს.

დიდია სკოლაში მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა 1958—59 სასწავლო წლის I და II მეოთხედში

გაცდენილია 5781 გაკვეთილი. აქედან 1307 საათი არასაპატიო. სასწავლო წლის I მეოთხედში 288 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 48 მოსწავლე; კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკე კლასების მიხედვით. IX კლასის 19 მოსწავლიდან პირველ მეოთხედში ვერ ასწრებდა 9, ხოლო მეორე მეოთხედში 11 მოსწავლე (კლასის ხელმძღვანელი დ. კაკუშაძე).

სკოლის დირექტორს კ. რ. ფანცულაიას I და II მეოთხედში მოსმენილი აქვს 42 გაკვეთილი. განსაკუთრებით მცირეა დაწყებით კლასებში მოსმენილი გაკვეთილების რაოდენობა. სასწავლო ნაწილის გამგეს ო. კეკელიძეს ამავე პერიოდში აქვს 54 გაკვეთილი, აქედან დაწყებით კლასებში მხოლოდ 13 გაკვეთილი.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მშობელთა კომიტეტი (თავმჯდომარე ა. ურუშაძე).

სკოლის ადმინისტრაცია ნაკლებ დახმარებას უწევს მშობელთა კომიტეტის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების მუშაობას, სისტემატურად არ სრულდება მასწავლებლების მორიგეობა მილიციის ბავშვთა ოთახში.

სტალინის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ვ. შანიძე) სკოლის მუშაობა შეუსწავლია 1957 წლის 23 თებერვალს. მაშინდელ ნარკვევში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორმა კ. რ. ფანცულაიამ:

ა) უახლოეს ხანში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ამ ბრძანებასთან ერთად განიხილოს განათლების მინისტრის 1956 წლის 2 მარტის № 195 ბრძანება სკოლაში დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ და დარაზმოს როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა მთელი კოლექტივი დისციპლინის მკვეთრად გაუმჯობესების საქმისათვის საბრძოლველად;

ბ) სკოლის მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეთა საერთო კრებაზე განიხილოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ და უზრუნველყოს მაი მონაწილეობა ამ მნიშვნელოვანი დადგენილების შესრულებაში;

გ) სისტემატურად შეისწავლოს სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობა და პერიოდულად მოისმინოს საკითხი პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე;

დ) ხშირად მოაწყოს ლექცია-მოხსენებები სკოლაში დისციპ-ლინის განმტკიცების პედაგოგიური ხერხებისა და საშუალებების შესახებ;

ე) არ დაუშვას მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენისა და დაგვიანება-გაპარვის შემთხვევები;

ვ) ქმედითი დახმარება გაუწიოს პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წარჩინებულ სწავლასა და სანიმუშო ყოფაქცევის დანერგვის საქმეში მათი ავანგარდული როლის უზრუნველსაყოფად;

ზ) გადაჭრით გააუმჯობესოს მუშაობა მშრომელთა შორის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე პერიოდულად დააყენოს საკითხი იმ მშობელთა შესახებ, რომლებიც თავიანთი შვილების აღზრდისადმი გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას იჩენენ; გარდაქმნას სკოლაში მშობელთა კომიტეტის მუშაობა;

თ) არ დაუშვას მილიციის ბავშვთა ოთახებში მასწავლებელთა მორიგეობის შეუფასებლობა; მიაღწიოს, რომ ყოველი პედაგოგი მორიგეობდეს დაწესებულ საათებში;

ი) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიოს ის მოსწავლეები, რომლებიც ხშირად არღვევენ დისციპლინას და მათ მიმართ გაატაროს პედაგოგიური ზემოქმედების ღონისძიებანი;

კ) ხშირად დაესწროს მასწავლებლებს გაკვეთილებზე, შეისწავლოს კლასის ხელმძღვანელების მუშაობა და განაზოგადოს მათი დადებითი გამოცდილება.

2. სტალინის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. შანიძე):

ა) სკოლების კომპლექსური შემოწმების დროს სათანადო ყურადღება დაუთმოს დისციპლინის საკითხების შესწავლას;

ბ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე დრო და დრო მოისმინოს სკოლის დირექტორების მოხსენება დისციპლინის მდგომარეობის შესახებ საკითხის წინასწარ შესწავლით და საჭირო ღონისძიებების დასახვით;

გ) შეისწავლოს მოწინავე სკოლების, კლასის ხელმძღვანელების და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება და მოახდინოს მათი განზოგადება.

დ) სასწავლო წლის ბოლოს შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე მოისმინოს სკოლის დირექტორის მოხსენება;

ე) განიხილოს ეს ბრძანება რაიონის სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა აქტივის თათბირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 13 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **ვ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 211

1959 წლის 6 მარტი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა XI სპარტაკიადის ჩატარებისა და VI საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ

მოსწავლეთა XI რესპუბლიკური და VI საკავშირო სპარტაკიადისათვის ნაკრები გუნდების უკეთ მომზადების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა სპარტაკიადა ჩატარდეს 1-დან 12 ივნისამდე ქ. თბილისში.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი სპორტის ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრებების მოწყობა მარტსა და აპრილში. ამ მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა:

ა) ა/წლის 16 მარტიდან 21 მარტამდე ქ.ქ. ბათუმსა და გორში, 20 მარტიდან 5 აპრილამდე ქ. სოხუმში ჩაატაროს პირველი და მეორე ჯგუფების გუნდების შეჯიბრება კალათბურთში;

ბ) 22 მარტიდან 30 მარტამდე ქ. ბათუმში და 30 მარტიდან 9 აპრილამდე ქ. რუსთავში მოაწყოს პირველი და მეორე ჯგუფების ნაკრები გუნდების შეჯიბრება ფრენბურთში;

გ) 25 მარტიდან 30 მარტამდე ქ. თბილისში—მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრება მძლეოსნობაში სამი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით;

დ) აპრილში ქ. მცხეთაში (ერთ-ერთ კვირა დღეს)—მეორე ჯგუფის ნაკრები გუნდების შეჯიბრება ველო-სპორტში.

ე) 1 აპრილიდან 4 აპრილამდე ქ. თბილისში—ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და სტალინირის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა სროლაში;

ვ) 26 მარტიდან 4 აპრილამდე ქ. მცხეთაში—1 ჯგუფის ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება-შეჯიბრება ნიჩბოსნობაში, დასკვნითი საკონტროლო შეხვედრით, რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის გუნდთან, რისთვისაც მოიწვიოს რსფსრ-ის, უკრაინის ან მოსკოვის გუნდი;

ზ) 31 მარტიდან 19 აპრილამდე ზონებს შორის—მეორე ჯგუფში შემავალი ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება ფეხბურთში რესპუბლიკურ პირველობაზე;

თ) საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად 10 მარტიდან 24 მარტამდე ქ. ერევანში—მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება წყალში ხტომაში;

ი) 25 მარტიდან 3 აპრილამდე ქ. თბილისში—საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საორგანიზაციო ბიუროსთან ერთად მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება მოსწავლეთა შორის;

კ) ამ ბრძანებასთან შესაბამისად დაამუშაოს და დაუგზავნოს სასპორტო სკოლებს ზემოხსენებული ღონისძიებების დებულებები და პროგრამები;

ლ) XI რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამარჯვებულ მოსწავლე-სპორტსმენთაგან დააკომპლექტოს რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი და უზრუნველყოს მოსწავლეთა VI საკავშირო სპარტაკიადისათვის მისი სათანადო მომზადება.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე).

ა) ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის წარდგენით ქ. თბილისში გადმოყვანისათვის ნება დართოს ნაკრები გუნდის შესავსებად რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სკოლების ზოგიერთ მოსწავლეს.

ბ) დაავალოს 1 და II სკოლა-ინტერნატების დირექტორებს არდადეგების პერიოდში მიიღონ 350 ბავშვი.

4. ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა გასწიოს ხარჯები დამტკიცებული თანხების ფარგლებში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ი. ბურჭულაძე**

ПРИКАЗ

ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 277

от 27 марта 1959 года

О Зугдидской 4-ой русской средней школе

Ознакомившись с материалами проверки учебно-воспитательной работы Зугдидской 4-ой русской средней школы, отмечаю:

В результате слабой работы директора тов. В. Соткилава и некоторых учителей в Зугдидской 4-ой русской средней школе отсутствует сознательная дисциплина среди учащихся, имеют место случаи массового ухода учащихся с уроков. Так, учащиеся IX класса 27, 31 января, 3 февраля 1959 года сорвали занятия в классе; академическая успеваемость учащихся недопустимо низка, особенно в старших классах. Из 202 аттестованных учащихся V—X классов в первом полугодии успевали только 86 учащихся, т. е. 42,6%, а в IX классе (классный руководитель М. Саджая) из 17 учащихся успевали только 3, т. е. 17,1%.

Совершенно неудовлетворительно осуществляется в школе политехническое обучение. Под столярную и слесарную учебные мастерские отведена одна комната, в которой размещены 7 столярных верстаков и стол на 7 рабочих мест для слесарных работ; мастерские не обеспечены необходимыми материалами для проведения уроков по труду. Уроки труда предоставлены преподавателю Кучулория, который не является специалистом этого предмета. Уроки труда либо вовсе не проводятся, либо проводятся в классной комнате „теоретически".

Имеет место значительный отсев учащихся. Из 42 учащихся, отсеявшихся в текущем учебном году из 8 средних школ гор. Зугдиди, 20 приходится только на 4-ую русскую среднюю школу.

Несмотря на это ни сама школа, ни районный отдел просвещения, ни школьный инспектор горисполкома (тов. Микая) не изучили причин отставания и не приняли необходимых мер к устранению имеющихся в школе недостатков и повышению успеваемости школьников.

Районный отдел просвещения (зав. тов. А. Читанава) и инспектор просвещения Зугдидского горисполкома тов. Микая в своих планах работы на 1 квартал 1959 года не предусмотрели проверку работы этой и других школ города.

Администрация школы не смогла создать необходимых условий для школьного буфета. Буфет расположен в коридоре, у входа в помещение школы, за деревянной перегородкой, в буфете пыльно и тесно, не имеется прилавка и витрин, продукты расположены на открытой полке. Вследствие недостаточности получаемых продуктов, буфет плохо обслуживает школьников, в особенности 2-ой смены; ассортимент хлебо-булочных изделий и бутербродов весьма скудный.

Здание школы в запущенном состоянии: подвальное помещение здания заполнено водой, крыша протекает. Инвентарь школы — парты, классные доски и др. на 60 — 70 процентов пришли в полную негодность.

Приказываю:

1. Директора Зугдидской 4-ой русской средней школы тов. Соткилава В. К., не обеспечившего должного руководства учебно-воспитательной работой, освободить от занимаемой должности.

2. Заведующему Зугдидским районным отделом просвещения Читанава А. З. об'явить выговор за слабое руководство и контроль за работой школы.

Поручить ему вопрос о работе Зугдидской 4-ой русской средней школы обсудить на заседании Совета просвещения и наметить конкретные мероприятия по поднятию учебно-

воспитательной работы и укреплению материальной базы школы.

3. Начальнику отдела кадров Министерства просвещения тов. Квачадзе И. И.:

а) на должность директора Зугдидской 4-ой средней школы подобрать соответствующую кандидатуру и представить на утверждение;

б) на месте пересмотреть состав учителей названной школы и в конце учебного года представить проект об освобождении учителей, не обеспечивающих должной постановки учебно-воспитательной работы.

4. Отделу капитального строительства Министерства просвещения (тов. А. Гадуа) выделить для Зугдидской 4-ой русской средней школы одну тонну кровельного железа.

5. Результаты проверки работы Зугдидской 4-ой русской средней школы сообщить отделу науки, вузов и школ ЦК КПСС.

Основание: постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 23 марта 1959 года.

Министр
Просвещения Грузинской ССР Г. Н. Джибладзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 407

1959 წლის 27 აპრილი

საბავშო სახლებში 1959 წლის 1 კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბათუმის საბავშვო სახლში დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა და მოწესრიგებულია საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა.

მიუხედავად ამისა, ზუგდიდის, განთიადის, №№ 3, 4, 6 საბავშვო სახლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზუგდიდის საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ჩაშლილია. აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე სავალალო მდგომარეობაშია. აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით. აცვიათ მოურგებელი და ჭუჭყიანი ტანსაცმელი. კოჯრის მე-6 და ზუგდიდის საბავშვო სახლებში სუსტადაა დაყენებული სამედიცინო მომსახურება. აღსაზრდელებში არაა გამომუშავებული კულტურული ჭამის, ქცევისა და თვითმომსახურების ჩვევები. არ გააჩნიათ პირადი ჰიგიენის საგნები. საძინებელ და სამეცადინო ოთახებში ანტისანიტარული მდგომარეობაა.

განთიადის, კოჯრის მე-6 და ზუგდიდის საბავშვო სახლებში თანამშრომელთა და აღსაზრდელთა პირადი საქმეები მოუწესრიგებელია.

განთიადისა და კოჯრის მე-6 საბავშვო სახლებში ძალზე დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება. განთიადის საბავშვო სახლში 1958/59 სასწავლო წლის III მეოთხედში 167 შეფასებულ აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 11 აღსაზრდელი, ხოლო კოჯრის მე-6 საბავშვო სახლის 97 აღსაზრდელიდან—10.

კოჯრის მე-6 საბავშვო სახლში აღსაზრდელთა შრომითი მომზადება არ დგას სათანადო სიმაღლეზე. შრომითი სახელოსნოები მოუწესრიგებელია. საზეინკლო სახელოსნოები არასწორად დამონტაჟებისა და ელექტროგაყვანილობის უვარგისობის გამო არ მუშაობენ, ხოლო სამკერვალო და საფურგლო სახელოსნოებს არ აქვთ საჭირო მასალები. ამ საბავშვო სახლში აღსაზრდელთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის დონე დაბალია, სუსტადაა დაყენებული პიონერთა ორგანიზაციის მუშაობა. საბავშვო სახლში მეთოდური მუშაობა არ ტარდება.

ზუგდიდის საბავშვო სახლის აღმზრდელები კ. ჭკადუა და ნ. ლატარია სრულებით ვერ ფლობენ რუსულ ენას.

სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი აგრეთვე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში.

ზუგდიდის საბავშვო სახლში ბიუჯეტის შესრულების საქმე არადამაკმაყოფილებელია. გადახარჯულია სხვადასხვა მუხლში 12386 მანეთი, ხოლო აუთვისებელია 65204 მან. უმთავრესად რემონტისა და რბილი ინვენტარის თანხები.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საბუხჰალტრო დოკუმენტების გაფორმების საქმეს. არ იწერება საწყობის შემოსავალ-გასავლის ფაქტურა. ზოგჯერ ფაქტურებს არა აქვს ნომერი, რიცხვი და საქონლის მიღების ხელმოწერაც კი. ასი მანეთის ზევით შრომით ხელფასებზე არ დგება შრომითი ხელშეკრულება. მივლინება-მიმოსვლის თანხები განაღდებულია არასწორად, ნაღდ ანგარიშზე საქონლის შეძენას სისტემატური ხასიათი აქვს.

კოჯრის № 3, 4 საბავშვო სახლებში ადგილი აქვს სოფლის მაღაზიიდან სამრეწველო საქონლის შეძენას.

კოჯრის მე-4 საბავშვო სახლში პროდუქტების, რბილი და მაგარი ინვენტარის აღწერები და შედარებები არ ტარდება დადგენილი ვადების მიხედვით.

კოჯრის მე-6 საბავშვო სახლში საწყობის გამგე არ აწარმოებს რბილი ინვენტარის მიღება-გაცემის აღრიცხვის ჟურნალს. ამ საბავშვო სახლში ჯერ კიდევ აღკვეთილი არ არის ნაღდ ანგარიშზე ქვაბების მოკალვის შემთხვევები.

კოჯრის მესამე საბავშვო სახლში რემონტი შეუწყნარებლად ჭიანურდება. სარემონტო კანტორის ინჟინერ წულაძისა და განათლების სამინისტროს ინჟინერ ხუციშვილის მიერ 1958 წლის აპრილის თვეში ფიქტიურად შედგენილია ფორმა № 2, რომელიც შემოწმებულია განათლების სამინისტროს ბეჭდით და საბავშვო სახ-

ლის ანგარიშიდან ჩამოწერილია დირექტორისა და ბუხჰალტრის ხელმოწერის გარეშე 9673 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საბავშვო სახლის დირექტორებს:

ა) ყოველდღიური კონტროლისა და ხელმძღვანელობის შედეგად უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება;

ბ) აღსაზრდელებთან დამატებითი მეცადინეობითა და სკოლასთან მჭიდრო კავშირით მიაღწიონ აღსაზრდელთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას.

გ) დაუყოვნებლივ მოაწესრიგონ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები;

დ) ზუსტად დაიცვან პროდუქტების, რბილი და მაგარი ინვენტარის აღწერის დადგენილი ვადები;

ე) უზრუნველყონ აღსაზრდელებში შრომითი და თვითმომსახურების ჩვევების გამომუშავება და დანერგვა.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ზუგდიდის საბავშვო სახლის მუშაობის საკითხი განხილულია ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ და გატარებულია სათანადო ღონისძიებები.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ამხ. ა. ი. ღადუა) შეამოწმოს კოჯრის № 3 საბავშვო სახლის 1957—1958 წლებში ჩატარებული კაპიტალური რემონტის მდგომარეობა და შედეგები მომახსენოს ა/წ 15 მაისამდე.

4. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 24 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 408

1959 წლის 27 აპრილი

საბავშვო ბაღებში 1959 წლის 1 კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ 1959 წლის პირველ კვარტალში შემოწმებულია 26 კომისრის, სამგორისა და ასპინძის რაიონების 9 საბავშვო ბაღის მუშაობა.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთი საბავშვო ბაღი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. ასე, მაგ., ქ. თბილისის № 72 საბავშვო ბაღს კარგი მატერიალური ბაზა, რეჟიმის ზუსტად დაცვა და შესაფერისი გარემო ხელს უწყობს მუშაობაში.

გლდანის, ქ. თბილისის № 5 და № 72 საბავშვო ბაღებში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ბავშვები ამჟღავნებენ პროგრამის ცოდნას.

ქ. თბილისის № 72 საბავშვო ბაღის გამგე ლ. თანდილიანი მომზადებული, გამოცდილი მუშაკია. იგი კარგად ხელმძღვანელობს როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამუშაოს.

მიუხედავად ამისა, ზოგ საბავშვო ბაღს ჯერ კიდევ არა აქვს შექმნილი მუშაობისათვის საჭირო პირობები. ქ. თბილისის 87-ე და ზემო ავჭალის საბავშვო ბაღები მოთავსებულია მეტად შეუფერებელ შენობებში; ბინის ფართობის სიმცირის გამო აღსაზრდელთა ძილი არ ეწყობა თბილისის მე-5, 87-ე და ქვემო ავჭალის საბავშვო ბაღებში; კეთილმოუწყობელი ეზოები აქვთ თბილისის მე-5, 87-ე, ასპინძის, გლდანის, ორხევის, ზემო და ქვემო ავჭალის საბავშვო ბაღებს.

ქ. თბილისის 87-ე, ასპინძის, ორხევის, თეთრიხევის, ქვემო და ზემო ავჭალის საბავშვო ბაღები განიცდიან რბილი და მაგალ. ინვენტარის, სასწავლო ნივთებისა და სათამაშოების ნაკლებობას. ასევე არასაკმაო რაოდენობით აქვთ საჭირო პედაგოგიური და საბავშვო მხატვრული ლიტერატურა.

ზემო და ქვემო ავჭალის საბავშვო ბაღებში მოუწყობელია სამეცადინო ოთახები, ჯგუფები გადატვირთულია ზედმეტი ნივთებით, მოსაწესრიგებელია პროდუქტების საწყობი. ასპინძის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და საწყობში უსუფთაობაა, ქ. თბილისის მე-5 საბავშვო ბაღის სათავსოებში ანტისანიტარიაა.

შესაფერის დონეზე არ არის დაყენებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა თბილისის მე-5, 87-ე და ქვემო ავჭალის საბავშვო ბაღებში. აღმზრდელები ე. გელენიძე, ლ. ჯიბლაძე, ე. ცაავა, ნ. გეგუჩაძე, ნ. ტორაძე არ მუშაობენ თავიანთ თავზე, ჯგუფებში შედიან მოუმზადებლად, საფუძვლიანად არ იცნობენ საბავშვო ბაღის აღმზრდელის სახელმძღვანელოს, მათი სუსტი მუშაობის შედეგად ბავშვების მომზადების დონე დაბალია. ჯგუფებში არ არის ბავშვთა ნამუშევრები.

საბავშო ბაღების ზოგიერთი აღმზრდელი არ ზრუნავს ბავშვებში კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების გამოსამუშავებლად; შემოწმების მომენტში გლდანის საბავშვო ბაღის აღმზრდელები დაუვარცხნელი თმებით, უხალათოდ და ჭუჭყიანი ტანსაცმელით იყვნენ ჯგუფში; ზემო ავჭალის საბავშვო ბაღში ბავშვები სადილს ალუმინის ჯამებიდან ჭამდნენ, ხოლო თბილისის მე-5,87-ე და ქვემო ავჭალის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელებს ჩაის თლილი ჭიქებით აძლევდნენ.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დღის მეორე ნახევარში აღმზრდელთა გეგმიურად მუშაობას, დარღვეულია ორი აღმზრდელის ერთად მუშაობის პრინციპი.

ასპინძის, ქვემო და ზემო ავჭალის საბავშვო ბაღებში ირღვევა დღის რეჟიმი, ბავშვთა შეგროვება დილით გვიანობამდე გრძელდება, რის გამო საუზმისა და სადილის გაცემა თავის დროზე არ ესწრება.

თეთრიხევის, ორხევის, ასპინძის, გლდანის, ზემო და ქვემო ავჭალის ერთჯგუფიან საბავშვო ბაღებში დასწრება არადამაკმაყოფილებელია, ყოველდღიურად საშუალოდ 15—16 ბავშვი ესწრება.

არაა მოგვარებული აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საკითხი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბოსტნეუ-

ლისა და ხილის ნაკლებობა, რაც გავლენას ახდენს საკვების ასორტიმენტში ბიზნესიოთვეა ალორიულობასა და ხარისხზე.

ასპინძისა და სამგორის რაიონების საბავშვო ბაღების სამედიცინო მომსახურება ჩაშლილია.

თბილისის 87-ე საბავშვო ბაღში დარღვეულია პედაგოგიური საათების განაწილება, ორი აღმზრდელი მუშაობს 9—9 საათს. შტატში აკლიათ ერთი დამლაგებელი, ეს კი ართულებს მუშაობას.

ზემო და ქვემო ავჭალის საბავშვო ბაღის გამგეები ფ. ამირანაშვილი და ნ. დვალი ცუდად ერკვევიან საბავშვო ბაღის სპეციფიკაში და შესაფერის ხელმძღვანელობას ვერ უწევენ საბავშვო ბაღის მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 26 კომისრის, სამგორისა და ასპინძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა შ. ბერაძემ, შ. ხოშტარიამ და ვ. თამაზაშვილმა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიონ საბავშვო ბაღები, სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ მათ მუშაობას.

2. ე თ ხ ო ვ ო ს:

ა) ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის აღმასკომს 87-ე საბავშვო ბაღს გამოუძებნოს შესაფერისი ბინა და შეუქმნას მას მუშაობისათვის ნორმალური პირობები;

ბ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს— დახმარება გაუწიოს ქ. თბილისის 87-ე, ასპინძისა და სამგორის რაიონის საბავშვო ბაღებს სამედიცინო მომსახურების საქმეში;

გ) ცეკავშირის გამგეობას—აღნიშნულ საბავშვო ბაღებში გააუმჯობესოს პროდუქტებით მომარაგების საკითხი.

3. სუსტი პედაგოგიური მუშაობისათვის მიეთითოს აღმზრდელებს: ე. გელენიძეს (თბილისის მე-5 საბავშვო ბაღი), ლ. ჯიბლაძეს, ე. ცაავას (თბილისის 87-ე საბავშვო ბაღი), ნ. გეგუჩაძეს (ზემო ავჭალის საბავშვო ბაღი).

4. საბავშვო დაწესებულების მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს ქვემო და ზემო ავჭალის საბავშვო ბაღების გამგეებს ნ. დვალსა და ფ. ამირანაშვილს და გაფრთხილებულ იქნან, თუ უახლოეს ხანში არ გამოასწორებენ არსებულ მდგომარეობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

5. გაფრთხილებულ იქნას ქ. თბილისის მე-5 საბავშვო ბაღის გამგე ი. კანდელაკი საბავშვო დაწესებულების გარემოს მოუწესრიგებლობისათვის.

6. საბავშვო ბაღების გამგეებმა უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ მოსწორება.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ასპინძის რაიონის განათლების განყოფილების მიერ საბავშვო ბაღში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად ადგილზე გატარებულია სათანადო ღონისძიებანი.

8. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) შეამოწმოს საბავშვო ბაღების კადრებით დაკომპლექტების საქმე და შედეგები წარმოუდგინოს კოლეგიას მ/წლის ბოლოს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 416

1959 წლის 29 აპრილი

**ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილებას:**

**„საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 217
1959 წლის 16 მარტი
ქ. თბილისი**

**საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის
შესახებ**

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის № 218 დადგენილება).

საქართველოს სსრ მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. იმ დიდი მუშაობის მეოხებით, რასაც პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან მოსახლეობის კომუნისტური აღზრდისათვის, რესპუბლიკაში შემცირდა სისხლისსამართლებრივი დამნაშავეობა და მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება.

მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა თავდადებით შრომობს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, წმინდად იცავს საბჭოთა კანონებს და პატივს სცემს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

მაგრამ ამასთან ერთად, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც არ იცავენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, სჩადიან ხულიგნურ მოქმედებას და სხვა დანაშაულს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილი აქვს დიდ ნაკლოვანებებს. ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ეს ბრძოლა უმთავრესად წარმოებს მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების ძალებით ისე, რომ მასში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ მოსახლეობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ცალკეულ პირთა საძრახისი საქციელი იშვიათად გამოაქვთ საზოგადოებრიობის განსახილველად. სათანადოდ არ არის გამოყენებული წესრიგის დამრღვევებზე საზოგადოებრიობის ზემოქმედების დიდი ძალა.

რესპუბლიკის მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები საკმარისად არ არიან დაკავშირებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიებისა და განხილვის დროს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას. სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვა იშვიათად წარმოებს სასამართლოს ღია სხდომებზე საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, რაც ამცირებს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითს მნიშვნელობას. სასამართლოში საქმეების განხილვის დროს მონაწილეობის მისაღებად არ იწვევენ საზოგადოებრივ ბრალმდებლებს. სასამართლო პროცესების მასალები ნაკლებად შუქდება ადგილობრივ პრესაში.

ამჟამად, მშრომელთა შეგნებულობის და პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების პირობებში ამორალური ანტისაზოგადოებრივი საქციელის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით, არამედ, უმთავრესად, იმით, რომ ფართოდ ჩავაბათ მშრომელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

„ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილების შესაბამისად, საქარ-

თველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით, მოეწყოს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები.

დაწესდეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმები შეიქმნებიან მოწინავე მუშებისა, მოსამსახურეებისა, კოლმეურნეებისა, სტუდენტებისა, მოსწავლეებისა და პენსიონერებისაგან ნებაყოფლობითს საფუძვლებზე საწარმოო-ტერიტორიული პრინციპების მიხედვით საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რაიონის (ქალაქის) ფარგლებში.

2. სახალხო რაზმი იცავს საზოგადოებრივ წესრიგს ქუჩებში, სტადიონებზე, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დემონსტრაციების, მსვლელობების, მასობრივი სეირნობის, სპორტული შეჯიბრებების ჩატარების დროს.

3. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) 1959 წლის მარტი—აპრილის განმავლობაში მოაწყონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები უწინარეს ყოვლისა დიდ სამრეწველო საწარმოებში;

ბ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მუშაობას ხელმძღვანელობენ რაიონული (საქალაქო) შტაბები, რომლებიც შესდგებიან პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სახალხო რაზმების ცალკეული მეთაურებისაგან. რაზმებსა და რაიონულ (საქალაქო) შტაბებს სათავეში უნდა ედგნენ, როგორც წესი, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები;

გ) რაიონების (ქალაქების) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტაბების შემადგენლობა, რაზმების მეთაურები და რაზმზე მიმაგრებული მიკრორაიონები დაამტკიცონ საქართველოს კპ რაიონული, (საქალაქო) კომიტეტების ბიუროზე;

დ) ვინაიდან დიდი საყოველთაო-სახალხო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მონაწილეობას საზოგა-

დოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, გასწიონ ფართო მუშაობა მოსახლეობაში, რომელსაც განუმარტონ ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა და ის, თუ რაოდენ საჭიროა აქტიური დახმარების გაწევა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების საქმიანობისათვის.

4. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა ჩაუნერგონ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდობას სკოლაში, სასწავლებელში, ოჯახში, ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში დისციპლინისა და ქცევის წესების დაცვის მტკიცე ჩვევები; მოაწყონ მათთვის მისაწვდომი ფორმით საბჭოთა კანონების განმარტება.

5. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ფართოდ ჩააბას კომკავშირული ორგანიზაციები ამ ღონისძიებათა განხორციელებაში და უზრუნველყოს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის აქტიური მონაწილეობა ნებაყოფლობითს სახალხო რაზმებში.

6. დაევალოთ რესპუბლიკური გაზეთების — „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ვრასტანის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდოი სტალინეცის", ჟურნალ „დროშის" და „ნიანგის" რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს სისტემატურად აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმის განსამარტებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა მონაწილეობას რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში და რაოდენ საჭიროა აქტიური დახმარების გაწევა სახალხო რაზმების საქმიანობისათვის. პერიოდულად გააშუქონ მოწინავე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების დადებითი მუშაობის მასალები.

7. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა დაწესებულებებმა, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა გააძლიერონ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, შემოიღონ საზოგადოებრივი წესრიგის ბოროტ დამრღვევთა გასასამართლებლად ღია სასამართლო პროცესების ჩატარება უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, უზრუნველყონ ასეთი პროცესების გულმოდგინედ და უნარიანად მოწყობა მათი აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაძლიერების მიზ-

ნით, ამასთან მოიწვიონ საჭირო შემთხვევებში საზოგადოებრივი ბრალმდებლები. ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ნებაყოფლობითის სახალხო რაზმებს მათს საქმიანობაში.

8. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს განიხილონ ეს დადგენილება და მისი შესრულების ზომები ღია პარტიულ კრებებზე.

შესრულების მიმდინარეობა მოხსენდეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს 1959 წლის აპრილის დამლევისათვის.

9. დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი დროებითი დებულებისა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ“.

10. დაევალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებას და ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილებას თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. კოვანოვი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 16 მარტის
№ 217 დადგენილებით

დროებითი დებულება

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. წლითიწლობით განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. იმ უდიდესი მუშაობის მეოხებით, რასაც პარტია, მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან მოსახლეობის კომუნისტური აღზრდისათვის, ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა დანაშაულებრივობა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება. საბჭოთა მოქალაქეების დიდი უმრავლესობა თავდადებულად შრომობს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, პატიოსნად ეკიდება თავის საზოგადოებრივ მოვალეობას, წმინდად იცავს საბჭოთა კანონებს და პატივს სცემს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც არ იცავენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, მთვრალი მოდიან საზოგადოებრივ ადგილებში, ჩადიან ხულიგნობას და სხვა დანაშაულს, რაც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანებს დამშვიდებულ ცხოვრებასა და შრომაში.

მშრომელთა შეგნებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ზრდის და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების პირობებში ამორალური, ანტისაზოგადოებრივი მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს უმთავრესად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით. ამ მიზნით ეწყობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ზოგადი დებულებანი

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმები შეიქმნებიან მოწინავე მუშებისა, მოსამსახურეებისა, კოლმეურნეებისა, სტუდენტებისა, მოსწავლეებისა და პენსიონერებისაგან ნებაყოფლობითს საფუძვლებზე საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რაიონის (ქალაქის) ფარგლებში.

სახალხო რაზმების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნება მხოლოდ რაიონის ან ქალაქის ფარგლებში სახალხო რაზმების რაიონული (საქალაქო) შტაბები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და რაზმების ცალკეული მეთაურებისაგან. სახალხო რაზმების და მათი შტაბების ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებენ პარტიული ორგანოები.

სახალხო რაზმების ძირითადი ამოცანებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ხულიგნობასთან ბრძოლა, აგრეთვე მონაწილეობა იმ ახსნა-განმარტებითს მუშაობაში, რასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან მოსახლეობაში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმები და რაიონული (საქალაქო) შტაბები მთელ თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საბჭოთა კანონების მოთხოვნებით, იმყოფებიან ამ კანონების მფარველობის ქვეშ და თავიანთ მუშაობას ახორციელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონტაქტით.

შინაგან საქმეთა დაწესებულებები, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები ყოველგვარ დახმარებას უწევენ რაზმებსა და მათ შტაბებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ სახალხო რაზმებსა და შტაბებს სამეცადინო სადგომებითა და ტელეფონით.

II. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები და მისი სტრუქტურა

ნებაყოფლობითს სახალხო რაზმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებიც, როგორც წესი, არ უნდა იყვნენ 18 წლის ასაკზე ნაკლები, პირადი განცხადებების საფუძველზე, რომლებსაც

შეიტანენ პროფკავშირულ, კომკავშირულ კომიტეტებში ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თავიანთი სამუშაო ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ნებაყოფლობითს რაზმში შესვლის მსურველი მოქალაქენი მიიღებიან რაზმში იმ კოლექტივის კრების რეკომენდაციით, რომელშიაც ისინი ირიცხებიან.

სახალხო რაზმის დაარსება მოხდება რაზმელთა საორგანიზაციო კრებაზე, რომელსაც მოიწვევს საინიციატივო ჯგუფი, შემდგარი ერთი ან რამდენიმე საწარმოს, მშენებლობის, სასწავლებლის, სახლმმართველობის და სხვა დაწესებულებათა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

რაზმის რაოდენობრივი შემადგენლობა დაწესდება ადგილობრივი პირობების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში რაზმში შეიძლება შეიქმნას ცალკეული ჯგუფები.

რაზმში თავის მოვალეობებს რაზმელი ასრულებს არასამუშაო დროს.

სახალხო რაზმის ხელმძღვანელობას ახორციელებენ მეთაური და მისი მოადგილეები, რომლებსაც რაზმელთა საერთო კრება აირჩევს ღია კენჭისყრით.

რაზმში შესულ პირს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი რაზმის მეთაურის მეშვეობით გადასცემს რაზმელის მოწმობას, სამკერდე ნიშანს და რაზმელის სამახსოვრო წიგნაკს, რომელშიაც ჩამოთვლილია რაზმელის უფლება-მოვალეობანი და რჩევა-დარიგება მისი პრაქტიკული საქმიანობის შესახებ.

რაზმიდან გარიცხვის საკითხს გადაწყვეტს რაზმის კრება, რასაც აცნობებს იმ ორგანიზაციას, რომელმაც რეკომენდაცია მისცა ამა თუ იმ პირს.

რაზმიდან გასული მოქალაქენი ვალდებული არიან ჩააბარონ რაზმის მეთაურს რაზმელის მოწმობა და ნიშანი.

III. რაზმისა და რაიონული (საქალაქო) შტაბის უფლება-მოვალეობანი

1. სახალხო რაზმი:

იცავს საზოგადოებრივ წესრიგს ქუჩებში, სტადიონებზე, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დემონსტრაციების, მსვლელობების, მასობრივი სეირნობის, სპორტული შეჯიბრებების დროს;

უზრუნველყოფს რაზმზე მიმაგრებულ რაიონში საზოგადოებრივ წესრიგს პატრულირების, რეიდების მოწყობის, გუშაგების დაყენებისა და მორიგეობის დაწესების გზით;

საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარუდგენს წინადადებებს საზოგადოებრივი წესრიგის ცალკეულ დამრღვევთა მიმართ ზემოქმედების ზომების მიღების შესახებ;

გადასცემს მასალებს ცალკეულ დამრღვევთა მიმართ საამხანაგო სასამართლოებს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს, აგრეთვე შეუძლია გამოჰყოს თავისი წარმომადგენელი საზოგადოებრივ ბრალმდებლად;

საჭირო შემთხვევებში აცნობებს პრესას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს;

ეწევა რაზმელთა შორის მუშაობას რაზმის შემჭიდროებისა და განმტკიცებისათვის, უნერგავს მათ მაღალ დისციპლინიანობას, ამხანაგობის გრძნობასა და თავდადებულობას;

ზრუნავს რაზმელთა ფიზიკური გამობრძმედისათვის, ასწავლის მათ დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, აგრეთვე აცნობს რაზმელებს საზოგადოებრივი წესრიგის კანონმდებლობას.

რაზმის მეთაური პერიოდულად გამოდის მშრომელთა წინაშე ანგარიშით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმის მუშაობის შესახებ.

2. რაიონული (საქალაქო) შტაბი:

ხელმძღვანელობს რაზმების ჩამოყალიბებას საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

შეიმუშავებს რაიონში (ქალაქში) საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, გაანაწილებს რაზმის ძალებს დაცვის ადგილებზე და დახმარებას გაუწევს რაზმების მეთაურებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში;

პერიოდულად განაზოგადებს რაიონის (ქალაქის) რაზმების მუშაობის გამოცდილებას;

შეიტანს წინადადებებს პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV. რაზმელის უფლება-მოვალეობანი

1. რაზმელი მოვალეა:

დაიცვას მოქალაქეთა პატივი და ღირსება, მიიღოს საჭირო ზომები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად;

დავალებათა შესრულების დროს დროულად და ზუსტად შეასრულოს რაზმის მეთაურის მოთხოვნები, იყოს დისციპლინირებული, გაბედული და თავდადებული;

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში ზეგავლენა მოახდინოს წესრიგის დამრღვევზე უწინარეს ყოვლისა დაჯერებითა და გაფრთხილებით;

მოვალეობის შესრულების დროს თან იქონიოს რაზმელის მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

რაზმელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს მოქალაქეებს, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ, წესრიგის დარღვევის შეწყვეტა და საჭიროების დროს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა;

შეადგინოს, დარღვევის ხასიათის მიხედვით, აქტი მოწმეებისა და დამრღვევის მონაწილეობით, და შემდგომ გადასცეს აქტი რაზმის მეთაურს.

მიიყვანოს, საჭიროების შემთხვევებში, მოქალაქენი, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ, რაზმის რაიონულ (საქალაქო) შტაბში, მილიციაში ან უახლოეს სასოფლო საბჭოში.

ისარგებლოს თავისი მოვალეობის შესრულების დროს საწარმოს (დაწესებულების) ტელეფონით.

თავისი მოვალეობის შესრულებისა და მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელების დროს რაზმელი მტკიცედ ხელმძღვანელობს საბჭოთა კანონების მოთხოვნებით. რაზმელის უფლებებს კანონი იცავს.

V. წახალისების ზომები

რაზმელებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და სანიმუშოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, წაახალისებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მადლობის გამოცხადებით, სიგელის გადაცემით, საპატიო

დაფაზე შეტანით, ძვირფასი საჩუქრით დაჯილდოებით, ხოლო იმ რაზმელებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, ფიცარზე გენენ მთავრობის ჯილდოებზე.

*
* *

შეგნებული აქვთ რა, რომ საზოგადოებრივი წესების დაცვას დიდი სახელმწიფო და საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა აქვს, რაზმელები უმწიკვლოდ უნდა ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად ამართლებდნენ ხალხის ნდობას.

აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების დირექტორებმა:

ა) გააცნონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილება პროფესორებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, პედაგოგიური ინსტიტუტების, პედაგოგიური სასწავლებლების და სკოლების სხვა მუშაკებს; ფართოდ განუმარტონ მათ ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმებისათვის აქტიური მხარდაჭერის აუცილებლობა;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ ჩაუნერგონ მოსწავლეებს და სტუდენტებს სკოლაში, სასწავლებლებში, ოჯახში, ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში შეგნებული დისციპლინისა და ქცევის წესების დაცვის მტკიცე ჩვევები.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 447

1959 წლის 6 მაისი

XIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და მომავალი სამეცნიერო-პედაგოგიური კონ-ფერენციისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ XIII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენ-ცია დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, ქუთაისის, ფო-თის, გორის, ზესტაფონის, სიღნაღის, თელავის, ცხაკაიას, სამტრე-დიის, ზუგდიდის, მახარაძის და სხვა ქალაქებისა და რაიონების მასწავლებლები აქტიურად ჩაებნენ ადგილებზე ჩასატარებელ „პე-დაგოგიურ კითხვაში", სადაც ბევრი საინტერესო მოხსენება იქნა განხილული ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების, მოს-წავლეთა შრომითი აღზრდისა და მწარმოებლური შრომის სწავ-ლებასთან დაკავშირების საკითხებზე.

XIII სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარდგენილ 400-მდე მოხსენებიდან კონფერენციაზე წაკითხული იქნა 200-ზე მეტი მოხსენება, რომელთა განხილვა მოეწყო 15 სახის სხვადასხვა სექციაში. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პუშკინის სახ. თბილისის, თბილისის უცხო ენების, ნ. ბარათაშვილის სახე-ლობის გორის, შ.რუსთაველის სახელობის ბათუმის და ალ. წულუ-კიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო-პედაგოგიური და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, აგრეთვე საქართველოს ფიზკულტუ-რის ინსტიტუტის მუშაკები.

კონფერენციაზე რაიონებიდან მოწვეული იყო 150 მასწავლე-ბელი და პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაკი. კონფერენციის მუშა-ობაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე თბილისის საშუალო სკოლის ბევრი მასწავლებელი.

სექციების სხდომებზე განხილულ იქნა ახალი სკოლის დებულებანი და სასწავლო პროგრამის პროექტები, აგრეთვე [illegible]ლი საგნის სწავლების სადღეისო საკითხები. წელს ცალკე მუშაობდა სკოლა-ინტერნატების სექცია, სადაც ყურადღებით იქნა განხილული ჩვენი რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს. კონფერენციის პლენარულ და სექციების სხდომებზე თბილისის მასწავლებლები მრავლად ესწრებოდნენ, მაგრამ მათს დასწრებას არ ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი; ზოგიერთ მოხსენებაში სასკოლო ცხოვრების მრავალი ფაქტი არ იყო გაანალიზებული პედაგოგიურ-მეცნიერული თვალსაზრისით; ძალიან დაგვიანებით ქვეყნდება კრებულები კონფერენციაზე მოწონებული მოხსენებებით; პედაგოგიური ინსტიტუტები, გარდა ბათუმის პედ. ინსტიტუტისა, ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებენ დახმარებას „პედაგოგიურ კითხვაში“ ჩაბმული მასწავლებლებისადმი.

მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მაღალხარისხოვნად მომზადებისა და ჩატარებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მიერ სკოლისა და სახალხო განათლების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა განზოგადების ისეთი ფორმების შემდგომი განვითარება, როგორიცაა „პედაგოგიური კითხვა“ და სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენცია.

ამ მიზნით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა 1960 წლის იანვრის არდადეგების პერიოდში ჩაატარონ „პედაგოგიური კითხვა“. მარტის არდადეგების დროს კი პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა თბილისში ჩაატაროს მორიგი, XIV რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა. ო., ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა აქედანვე გაატარონ სათანადო ღონისძიებანი „პედაგოგიურ კითხვაში“ მასწავლებელთა ფართოდ ჩაბმისათვის.

3. რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების მასწავლებლებმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის

მეთოდისტებმა თავიანთი კონსულტაციებით სისტემატური დახმარება გაუწიონ „პედაგოგიურ კითხვაში“ ჩაბმულ მასწავლებლებს.

4. პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებმა XIV სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე განსახილველად პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში წარადგინონ პედაგოგიკასა და ცალკეულ მეთოდიკებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული საუკეთესო ნაშრომები.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა:

ა) სკოლის შესახებ მიღებული ახალი კანონისა და სკკპ XXI ყრილობის მიერ საბჭოთა სკოლის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად გადაამუშაოს „პედაგოგიური კითხვის“ თემატიკა და I/IX-მდე დაიყვანოს იგი რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებამდე;

ბ) გაუწიოს სათანადო დახმარება ადგილებს „პედაგოგიური კითხვის“ ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის;

გ) მიიღოს ყველა ზომა კონფერენციაზე მოწონებულ მოხსენებათა გამოქვეყნებისათვის;

დ) ა. წ. 15 მაისამდე მისცეს წერილობითი დასკვნები მოხსენებებს, რომლებიც კონფერენციის დღის წესრიგში არ ყოფილა შეტანილი.

6. დაევალოს გაზ. „სახალხო განათლებისა“ და ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად შეადგინონ XIII სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებების გამოქვეყნების კალენდარული გეგმა;

ფართოდ გააშუქონ მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

7. XIII სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის:

I. დაჯილდოებულ იქნან განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელით:

პ ე დ ა გ ო გ ი კ ი ს ს ე ქ ც ი ი დ ა ნ: 1. სინჯიკაშვილი ელისაბედ სიკოს ასული (სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევის საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. ნადირაძე ალექსანდრე თეოფანეს-ძე (ვანის საშ. სკოლის დირექტორი), 3. ბარგანჯია ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე (ახალი ათონის საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე), 4. ჯინჭარაძე სულეიმან ბეგიზის-ძე (ქობულეთის რაიონის სოფ.

აჭყვისთავის საშუალო სკოლის დირექტორი), 5. ბექაია ალექსანდრე ბესარიონის-ძე (ბათუმის მე-14 საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე), 6. ცაკაშვილი მიხეილ ილიას-ძე (თელავის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი), 7. მელქაძე ილია ბესარიონის-ძე (თბილისის 36-ე საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე), 8. ხრჟანოვსკი ვალერი ევგენის-ძე (თბილისის 49-ე საშ. სკოლის დირექტორი), 9. ლორთქიფანიძე გრიგოლ ალექსანდრეს-ძე (ბათუმის მე-6 საშ. სკოლის დირექტორი). 10. ხურცილავა ალმასი კონსტანტინეს ასული (წულუკიძის რაიონის სოფ. კინჩხის საშ. სკოლის მასწავლებელი);

სკოლამდელი აღზრდის სექტორიდან: 1. გველესიანი ეთერ სილიბისტროს ასული (თბილისის № 47 საბ. ბაღის აღმზრდელი), 2. გაიდამაკ-ჩუბინიძე ნელი ნიკოლოზის ასული (სოხუმის № 10 საბ. ბაღის გამგე), 3. კევლიშვილი ელენე იოსების ასული (თბილისის № 3 საბ. ბაღის აღმზრდელი), 4. ზოლოტოვა ელენე ვასილის ასული (ბათუმის № 3 საბ. ბაღის აღმზრდელი);

ფიზიკური აღზრდის და სასკოლო ჰიგიენის სექციიდან: 1. სიხარულიძე შუქრი სიმონის-ძე (ბათუმის მე-17 საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. კებაბჩიანი პეტრე გალუსტის-ძე (ბათუმის მე-20 საშ. სკოლის მასწავლებელი);

დაწყებითი სკოლის სექციიდან: 1. მანაგაძე მარგარიტა სერგის ასული (ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. მელუა ელენე ივანეს ასული (ბათუმის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი);

სკოლა-ინტერნატების სექციიდან: 1. ლასხიშვილი შუშანა იაგორის ასული (ბროწეულას სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელი). 2. დოლიძე ვალერი ვიქტორის-ძე (თბილისის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ-მასწავლებელი), 3. ძიძავა აკაკი სპირიდონის-ძე (გორდის სკოლა-ინტერნატის დირექტორი);

ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სექციიდან: 1. წულაძე ლილი პლატონის ასული (ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. გუგენაშვილი რუსუდან გიორგის ასული (წითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვების საშ. სკოლის მასწავლებელი), 3. ლომთათიძე ლევან ისიდორეს-ძე (თბილისის მე-3 საშ. სკოლის მასწავლებელი), 4. შენგელია სერგო ელიზბარის-ძე (რკინიგზის თბილისის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი), 5. მაჭუტაძე ნადია გიორგის ასული (ბათუმის მე-2 საშ. სკოლის დირექტორი), 6. გოგოტიშვილი ბენიამინ ანდრიას-ძე (მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების საშ. სკოლის მასწავლებელი), 7. ჭანიშვილი ვასილ თომას-ძე (თბილისის მე-18 საშ. სკოლის მასწავლებელი);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სექციიდან: 1. ზარდიაშვილი ზაირა ლეონიდეს ასული (თბილისის 47-ე საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. უჩანეიშვილი ნინო ვასილის ასული (თბილისის 53-ე საშ. სკოლის მასწავლებელი) 3. ცაავა ვალერიან კონსტანტინეს-ძე (თბილისის 30-ე საშ. სკოლის მასწავლებელი), 4. ტრუბკინი პეტრე ლაზარეს-ძე (სიღნაღის რაიონის სოფ. ულიანოვკის საშ. სკოლის მასწავლებელი), 5. კორსუნსკი სვიატოსლავ ნიკოლოზის-ძე მახარაძის რაიონის სოფ. ანასეულის საშ. სკოლის მასწავლებელი);

უცხო ენების მეთოდიკის სექციიდან: 1. ბერიაშვილი იოსებ ნიკოლოზის-ძე (სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. პაპავა ანგელინა კონსტანტინეს ასული (სამტრედიის 1-ლი საშ.სკოლის მასწავლებელი), 3. ერლიხი ევგენია სოლომონის ასული (ფოთის მე-4 საშ. სკოლის მასწავლებელი), 4. სეგმანოვა ევგენია ივანეს ასული (ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი);

ისტორიის მეთოდიკის სექციიდან: 1. ოდიშარია ტერენტი აპოლონის ძე (გულრიფშის რაიონის სოფ. განახლების საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. გურგენიძე ევა შიოს ასული (თბილისის 30-ე საშ. სკოლის მასწავლებელი), 3. სიჭინავა ლიდა ნიკოლოზის ასული (ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელი), 4. იმედაძე ნადია კონსტანტინეს ასული (თბილსის 23-ე საშ. სკოლის მასწავლებელი);

გეოგრაფიის მეთოდიკის სექციიდან: 1. როინიშვილი სამსონ ზაქარიას-ძე (თბილისის 62-ე საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. ნოზაძე დავით იოსების-ძე (ქუთაისის მე-17 საშ. სკოლის მასწავლებელი), 3. გოგატიშვილი შოთა დავითის-ძე (ადიგენის რაიონის აბასთუმნის საშ. სკოლის დირექტორი), 4. თენეიშვილი თამარ პორფილეს ასული (თბილისის 53-ე საშ. სკოლის მასწავლებელი);

მათემატიკის მეთოდიკის სექციიდან: 1. ბუაძე ალექსანდრე პოლიექტის-ძე (თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი), 2. გამაზოვი ანდრია კონსტანტინეს-ძე (თბილისის 48-ე საშ. სკოლის მასწავლებელი);

ფიზიკის მეთოდიკის სექციიდან: 1. ბარამიძე პორფილე გიორგის-ძე (ფოთის მე-2 საშ. სკოლის მასწავლებელი), 2. მესხი დავით გიორგის-ძე (თელავის მე-3 საშ. სკოლის მასწავლებელი);

ქიმიის მეთოდიკის სექციიდან: 1. უნგიაძე ალბერ თეოფილეს ასული (თბილისის მე-18 საშ. სკოლის მასწავლებელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. გამოეცხადოს მადლობა

პედაგოგიკის სექციიდან: 1. კალანდაძეს გულნაზ ივანეს ასულს (მახარაძის რაიონის სოფ. ნაგომარის საშ. სკოლა), 2. გვილიას ეკატერინე ბაგრატის ასულს (ზუგდიდის მე-3 საშ. სკოლა). 3. ნადირაძეს ქეთევან თეოფანეს ასულს (ქუთაისის 21-ე საშ. სკოლა), 4. აქირთავას ვალერიან დურუს-ძეს (გალის რაიონის სოფ. ძუბურხინჯის საშ. სკოლა). 5. ქევხიშვილს ნინო აბრამის ასულს (საგარეჯოს რაიონის სოფ. ჩაილურის 7-წლიანი სკოლა), 6. ნებიერიძეს ანტონ ივანეს-ძეს (ახალციხის რაიონის პედაგოგიური კაბინეტი);

სკოლამდელი აღზრდის სექციიდან: 1. სესიაშვილს ნინო ივანეს ასულს (თელავის № 1 საბ. ბაღი). 2. გამხეტელაშვილს ქრისტინე ივანეს ასულს (თელავის № 4 საბ. ბაღი), 3. პოლშჩენკოს ლუდმილა გრიგოლის ასულს (ბათუმის № 22 საბ. ბაღი), 4. მაცკოს კლავდია პავლეს ასულს (ბათუმის № 25 საბ. ბაღი), 5. შენგელიას ანტონინა იკანეს ასულს (სოხუმის № 12 საბ. ბაღი), 6. ლაითაძეს ნინო კონსტანტინეს ასულს (ბათუმის № 8 საბ. ბაღი), 7. ლეჟავას მელიხან გიორგის ასულს (თბილისის № 8 საბ. ბაღი), 8. ცაგარეიშვილს ელენე ილიას ასულს (თბილისის № 90 საბ. ბაღი), 9. წიქვაძეს ლუბა სიმონის ასულს (თბილისის № 24 საბ. ბაღი);

დაწყებითი სკოლის სექციიდან: 1. სიხარულიძეს ნადია ლევანის ასულს (თბილისის 1-ლი საშ. სკოლა), 2. დოღონაძეს ჟანა მიხეილის ასულს (ბათუმის მე-5 საშ. სკოლა), 3. სულხანიშვილს მინადორა ალექსის ასულს (გორის მე-6 საშ. სკოლა), 4. შარაბიძეს ლუბა ანთიმოზის ასულს (ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლა);

სკოლა-ინტერნატების სექციიდან 1. სვანიძეს ვასილ რაფიელის-ძეს (ბროწეულას სკოლა-ინტერნატი), 2. ბერაიას გრიგოლ ანტონის-ძეს (თბილისის სკოლა-ინტერნატი), 3. არაბულს გაგა თათარას ძეს (ბარისახოს სკოლა-ინტერნატი);

ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სექციიდან: 1. ლორთქიფანიძეს პეტრე გრიგოლის-ძეს (რკინიგზის თბილისის 1-ლი საშ. სკოლა). 2. გველესიანს ეთერ ნიკოლოზის ასულს (ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშის საშ. სკოლა), 3 ჟორჟოლიანს პაშა ალექსანდრეს ასულს (თბილისის 96-ე საშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა), 5. ვადაჭკორიას სერგო იოსების-ძეს (ბათუმის საქალაქო განათლების განყოფილება), 6. მეტრეველს ალექსანდრე სერგოს-ძეს (თბილისის 24-ე საშ. სკოლა), 7. მჭედლიძეს არჩილ სიმონის-ძეს (თბილისის 29-ე საშ. სკოლა):

უცხო ენების მეთოდიკის სექციიდან: 1. შაიშმელაშვილს ბეჟან ვასილის-ძეს (სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანის საშ. სკოლა), 2. კოჭლამაზაშვილს ციცინო თურმანის ასულს (სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო ბოდბის საშ. სკოლა), 3. ლომთათიძეს გულიზარ მარკოზის ასულს (თელავის რაიონის სოფ. წინანდლის საშ. სკოლა), 4. ფერაძეს ბასკურია სამსონის ასულს (სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირის საშ. სკოლა):

ისტორიის მეთოდიკის სექციიდან: 1. გოგატიშვილს მიხეილ დავითის-ძეს (საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშ. სკოლა), 2. ციცხვაიას ხარიტონ გიორგის-ძეს (საგარეჯოს რაიონის სოფ. გომბორის საშ. სკოლა), 4. ჭკუასელს ნოდარ ევგენის-ძეს (ჩობალაურის რაიონის სოფ. საჭამიასერის საშ. სკოლა):

გეოგრაფიის მეთოდიკის სექტორიდან: 1. ლაშხს ელენე ივანეს ასულს (მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის საშ. სკოლა), 2. კახაძეს ლელი ილიას ას. (სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთის საშ. სკოლა), 3. პაპიაშვილს ნათელა კონსტანტინეს ასულს (წითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვების საშ. სკოლა);

მათემატიკის მეთოდიკის სექციიდან: 1. ვაინფელდს მიხეილ ალექსანდრეს-ძეს (ბათუმის მე-8 საშ. სკოლა), 2. ფარჯანაძეს ბიკენტი მიხეილის-ძეს (ყვარლის რაიონის სოფ. გავაზის საშ. სკოლა), 3. მენაბდეს ვალერიან დავითის-ძეს (თბილისის 23-ე საშ. სკოლა):

ფიზიკის მეთოდიკის სექციდან: 1. ორჯონიკიძეს გულნარა კონსტანტინეს ასულს (თბილისის 53-ე საშ. სკოლა), 2. დოლაბერიძეს კომენ მიხეილის-ძეს (ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა), 3. ნუცუბიძეს ელგუჯა ივანეს-ძეს (ზესტაფონის რაიონის სოფ. ძირულას საშ. სკოლა), 4. მჭედლიშვილს ალექსანდრე ილიას-ძეს (სიღნაღის პირველი საშ. სკოლა):

ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის საფუძვლების მეთოდიკების სექციიდან: 1. გალახვარიძეს სილვა ნიკოლოზის ასულს (თელავის რაიონის სოფ. კონდოლის საშ. სკოლა), 2. მიქაძეს იონა იაკობის-ძეს (ცხაკაიას რაიონის სოფ. ძვ. სენაკის საშ. სკოლა), 3. ჯანჯღავას ლიდა დიმიტრის ასულს (აბაშის რაიონის სოფ. პირველი მაისის საშ. სკოლა), 4. ნიორაძეს გრიგოლ სამსონის-ძეს (ბეთანიის სკოლა-ინტერნატი).

5. ძიძიგურს ჩიტო ივანეს ასულს (ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლა), 6. გაფრინდაშვილს ვარლამ რაჟდენის-ძეს (ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთის საშ. სკოლა), 7. გამდლიშვილს სევერიან ალექსანდრეს-ძეს (გორის რაიონის სოფ. ქვეშის საშ. სკოლა), 8. ხარშილაძეს ნანა ზაქარიას ასულს (თელავის რაიონის სოფ. ფშავლის საშ. სკოლა);

ქიმიის მეთოდიკის სექციიდან: 1. კარტოზიას ევგენი თედორეს ასულს (ზესტაფონის მე-4 საშ. სკოლა), 2. ავანაშვილს მარგალიტა კარაპეტის ასულს (მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის საშ. სკოლა), 3. გუგუციძეს ქეთევან ალექსანდრეს ასულს (ზესტაფონის რაიონის სოფ. შროშის საშ. სკოლა), 4. ჭელიძეს ალექსანდრა დავითის ასულს (ამბროლაურის რაიონის სოფ. ბუგეულის საშ. სკოლა);

შრომითი-პოლიტექნიკური სწავლების მეთოდიკების სექციიდან: 1. ლეკვეიშვილს ვალერიან კონსტანტინეს-ძეს (სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთის საშ. სკოლა), 2. ზიქარაძეს იური გრიგოლის-ძეს (მახარაძის რაიონის სოფ. ანასეულის საშ. სკოლა). 3. სიმონიანს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს (თბილისის 37-ე საშ. სკოლა), 4. ნასედკინას ვერა ალექსანდრეს ასულს (ტყვარჩელის მე-2 საშ. სკოლა), 5. ფილატოვს ანდრია იაკობის-ძეს (თბილისის 37-ე საშ. სკოლა).

8. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს გაზ. „სახალხო განათლებასა“ და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა მორიგ კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 24 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი — გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 24 მარტის დადგენილება საშუალო, რვაწლიანი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კურსდამთავრებულთა სიმწიფის ატესტატისა და მოწმობის ბლანკების დამზადების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის ინსტრუქციაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის

შესახებ

ინსტრუქციის 43-ე მუხლი (იხ. სკოლის დირექტორის ცნობარი გვ. 926) წარმოდგენილია შემდეგი სახით:

როდესაც არქივში განმცხადებლის მიერ საშუალო სკოლის ან რვა კლასის დამთავრების დამადასტურებელი საბუთი არ მოიპოვება, სპეციალური ნიმუშის მოწმობა გაიცემა განმცხადებლის სამი ყოფილი მასწავლებლის წერილობითი დადასტურების საფუძველზე (დანართი №6) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლის, რაიონისა და ცენტრალური არქივებიდან (უსათუოდ სამთავედან) წარმოდგენილია ცნობები, რომ არქივში არ ინახება საშუალო სკოლის ამ წლის კურსდამთავრებულთა საბუთები, ან როდესაც არქივი განადგურებულია (ხანძარი, არქივის გატაცება და სხვ.).

ყოფილი მასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით უნდა დაადასტუროს იმ დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელშიც ამჟამად მუშაობს იგი. დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა შეამოწმოს (შრომის წიგნაკისა და სხვა საბუთების გასინჯვით), რომ სკოლის დამთავრების ფაქტის დამადასტურებელი პირი იმ დროს იმ სკოლაში ნამდვილად ასწავლიდა.

ინსტრუქციის 43-ე მუხლი მომავალში წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით:

სპეციალური ნიმუშის მოწმობა გაიცემა განმცხადებლის სამი ყოფილი მასწავლებლის წერილობითი დადასტურების საფუძველზე (დანართი № 5) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლის არქივი განადგურებულია (ხანძარი, არქივის გატაცება).

ყოფილი მასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით უნდა დაადასტუროს იმ დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელშიც ამჟამად მუშაობს იგი. დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა შეამოწმოს (შრომის წიგნაკისა და სხვა საბუთების გასინჯვით), რომ სკოლის დამთავრების ფაქტის დამადასტურებელი პირი იმ დროს სკოლაში ნამდვილად ასწავლიდა თუ არა.

5·5/92

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა—ახალი, 1959—1960 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ . 3
2. ბრძანება № 230—„ბუნების დაცვის კვირეულის" ჩატარებაში სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ . . 10
3. ბრძანება № 238—რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 12
4. ბრძანება № 239—ბორის აქვსენტის-ძე ასათიანის სიმწიფის ატესტატის გაუქმების შესახებ 15
5. ბრძანება № 254—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1958 წლის შედეგებისა და 1959 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ 17
9. ბრძანება № 255—ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მე-17 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ 28
7. ბრძანება № 211—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა XI სპარტაკიადის ჩატარებისა და VI საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ 32
8. Приказ № 277—О Зугдидской 4-й русской средней школе 34
9. ბრძანება № 407—საბავშვო სახლებში 1959 წლის I კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 37
10. ბრძანება № 408—საბავშვო ბაღებში 1959 წლის I კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 40
11. ბრძანება № 416—საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ 44
12. დროებითი დებულება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ 49
13. ბრძანება № 447—XIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და მომავალი სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების შესახებ 55
14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 24 მარტის დადგენილება საშუალო, რვაწლიანი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კურსდამთავრებულთა სიმწიფის ატესტატისა და მოწმობის ბლანკების დამზადების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის ინსტრუქციაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ 63